№ 2761
შაბათი,
5 მარტი

ცნობის ფურცელი

№ 2761
შაბათი,
5 მარტი

გაზეთის ფასი: წლიწადში—6 მ., თვეში უდამატებოთ—50 კ. დამატებით—75 კ.; ნომერი—3 კ., დამატებით—5 კ. ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი „პეტიტით“ პირველ გვერდზე—10 კ., მეოთხეზე—5 კ. ხელის-მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება: „ცნობის ფურც.“ რედაქციის კანტორაში ვანქის დიდ ქუჩაზე, № 27. განცხადებანი რუსეთიდან და საზღვარ-გარეთიდან მიიღება ლ. და გ. მეტცლისა და კამპ. განცხადებათა კონტორებში მოსკოვსა და პეტერბურგში.

ყოველ-დღიური გამოცემა
1896—1905

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.—დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელობაზე უნდა გამოიგზავნოს.—პირდაპირ მოლაპარაკება რედაქციასთან შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, წუადლის 11—1-ლ საათამდე.—დაუბეჭდავს მცირე წერილებს და კორესპონდენციებს რედაქცია არ ინახავს. ხოლო ვრცელი წერილები ინახება ერთის თვის განმავლობაში.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, въ редакцію „Цнобисъ-Пурцели“-„Моамбе“. ტელეფონი № 372.

გაზეთი «ცნობის ფურცელი» ადგილობრივ და გაგზავნით ღირს: 1 წლით 6 მან., 11 თვ 5 მ. 75 კაპ., 10 თვ. 5 მ. 20 კაპ., 9 თვ. 5 მ., 8 თვ. 4 მ. 50 კაპ., 7 თვ. 4 მ., 6 თვ. 3 მ. 50 კ., 5 თვ. 3 მან., 4 თვ. 2 მ. 60 კ., 3 თვ. 2 მან., 2 თვ. 1 მ. 50 კ. ხელის მოწერა მიიღება ყოველ თვის პირველ რიცხვიდან. გაზეთის გაწერა ერთ თვეზე ნაკლებ არ შეიძლება და არა მეტი წლის ბოლომდის.

ხელის მომწერთ, რომელთაცა ჰსურთ რაიმე ცნობა მიიღონ კანტორიდან ხელის მოწერის შესახებ ან ფულს გზავნიან რედაქციაში, ან ადრესს იცვლიან, „ცნობის-ფურცლის“ კანტორა უმორჩილესად სთხოვს მათ **გამოუგზავნონ ბანდეროლი ან მოიწერონ ის ნომერი, რომელიც ადრესზეა დაბეჭდილი.**

როცა ვინმე იწერება ადრესის გამოცვლას, მასთანვე ძველი ადრესი და გამოსაცვლელი 40 კაპ. უნდა გამოუგზავნოს რედაქციას. ადრესის გამოსაცვლელი 40 კაპ. შეიძლება ფოსტის მარკებათ გამოიგზავნოს.

1 იანვრიდან წლის დამლევამდის „ცნობის-ფურცელი“ ღირს 5 მ. 75 კაპ.

ცალკე ნომერი გაზეთისა ყოველგან ღირს 3 **კაპ. სურათებიანის დამატებით**—5 **კაპ.**

მიხეილ, ალექსანდრე და ნატალია იოსების ძენი და ასული ბიბილურები, ოლა ზაქარიას ასული და სიდონია გრიგორის ასული ბიბილურები და მარიამ სტეფანეს ასული გამდლიშვილი გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ გარდაცვალებას ხანგრძლივის ავადმყოფობის შემდეგ პირველნი საყვარელის ძმის, მეორე—ქმრის, მესამე—მაზლის და მეოთხე სიძის

ივანე იოსების ძის ბიბილურისას

პანაშვიდები ყოველ საღამოს შვიდ საათზედ. გასვენება კვირას, 6 მარტს, ანჩისხატის სობოროში, ათის ნახევარზე. ფომინის ქუჩა, სახლი შახნაზაროვისა № 20 დაკრძალვენ პეტრე-პავლეს სასაფლაოზე.

ტფილისის ქალაქის გამგეობა ამით აცხადებს, რომ ტფილისის ქალაქის ყოფილ მოურავის,

პავლე ალექსანდრეს ძის იზმაილოვის

გარდაცვალების ათის წლის თავზე, შაბათს, 5 მარტს, ნაშუადღევის 1-ლ საათზე, ვანქის ტაძარში გადახდილი იქნება პანაშვიდი. (1—6.—1)

ტფილისის
კერძო სამკურნალო
მკურნალის დ. ა. გედევანიშვილისა
ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე.

დილით:

ვ. ი. ჭიჭინაძე. კბილის 8—9 საათ.
გ. გ. მაღალაშვილი. შინაგანი ოთხშაბ. 9—10 საათ. და კვირაობით 9—11 საათ.
ა. ი. ბალარჯიშვილი.—ბავშვებისა. 9½—10½ ს.
ნ. ტ. ჟულინი.—ყურისა, სასისა და ცხვ. 10—11.
ვ. დ. ლამბაშიძე.—შინაგ. სამშ., ხუთშ., პარასკ. და შაბათობით 11—12.
ვ. მ. მანსვეტოვი. შინაგ. და ბავშვ. 12—1.
დ. ა. გედევანიშვილი.—შინაგანი, და ნერვებისა 12—1 ს.
ქ. ქალი მ. ქ. იოსელიანი.—ქალისა და საშ[illegible]ო, სამშ., ხუთშ. და შაბათ. 12—1 ს.
ქ. ნ. დიასამიძე.—ვენერიული და კანისა 12½—1½ საათ.
ს. ხ. ალექსი-მესხიშვილი.—ქირურგია 1—2.

საღამოს:

ხ. ი. ვაჩაძე.—შინაგ. 6—7 საათამდე.

ოპერაციების გაკეთება შეუძლიანთ გარეშე ექიმ-ქირურგებსაც.

ფასი რჩევისა და დარიგებისა 50 კაპ., საავადმყოფოს აქვს ოთხი საწოლი. სამკურნალოში ოპერაციები მორიგებით. კრავატები დღეში ღირს 2-დან სამ მანეთამდე. საზოგადო და ნომერი—5 მან.

ადრესი: კუკია, ველიკოკნიაჟესკის ქუჩა, (კუკიის ხიდიდან მეცხრე სახლი) სახლი აბრამოვისა, № 9. მიხეილის ქუჩიდან-კი 34 Б.

ტელეფონი № 274.

ექიმი
ი. ა. გოკიელოვი
მიიღებს ავადმყოფებს: სიფილისის, ვენერიულის, კანის, შიგნეულის და ნერვების. მიხაილოვის ქ. № 149. აკ. სახლი. დილის 9—12 საათ. და საღამოს 5—8 საათამდე.

ქ. ბათუმში
ექიმი ა. გ. მაღალაშვილი
მიიღებს შინაგანის და ბავშვების სნეულებით ავადმყოფებს ყოველ დღე დილის 9—10 საათამდის.
ტფილისის და ვლადიკავკავის ქუჩების კუთხეში. კომერციულ ბანკის სახლი. (60—403—27)

ექიმი
ა. ნ. დიასამიძე
მიიღებს ავადმყოფებს: სიფილისის, კანის და ვენერიულის ყოველ დღე დილის 9—11-მდე და საღამოს 6—8-მდე, გარდა კვირის საღამოსი. ლორის-მელიქოვის და ბარონის ქუჩების კუთხე, მესხიშვილის სახ. თეატრის პირდაპირ № 18. (60—28—28)

კბილის ექიმი
ე. ი. ბალარჯიშვილი
იღებს ავადმყოფებს 10—3 საათამდე და 5—7 მიხეილის ქუჩა № 115. გერმანელთა ტაძრის გვერდით. (30—17—12)

ექიმი
გ. ი. ტერ-გრიგორიანცი
შინაგანთა, სპეციალისტი გულისა და ბავშვების ავადმყოფობის, რენტგენის სხივის კაბინეტი. დილის 10—11 საათ. და 5—7 საღ. მიხეილის პრ. № 154 ტელეფონი № 825. (90—296—50).

კბილის ექიმი
ივანე პ. ახალშენიშვილი
გადავიდა: ნიკოლოოზისა (№ 32) და ხიდის ქ. (№ 21) კუთხეში, ავჭალის ქ. დასაწყისში, სახლი ლაზარაშვილისა. ავადმყოფებს იღებს 9—2 და საღამოს 5—7. კვირა-უქმით 10—1-მდე!.

განცხადება

შავი-ქვის მრეწველთა საბჭო აცხადებს, რომ მას სჭირია ჭიათურის საავადმყოფოში იყოლიოს **ბებია ქალი, მცოდნე ქართულის ენისა**. მსურველთ ამ ადგილის დაჭერისა საბჭო სთხოვს მომართონ ქუთაისის საბჭოს სახელზე. (3—6.—3)

საუკეთესოდ მოწყობილი
ასოების ჩამოსასხმელი ქარხანა
წიგ. გამ. ქართ. ამხანაგობისა.
ამზადებს ყოველნაირ ქართულს, რუსულს, სომხურს და თათრულს ასოებს.
პრეისკურანტი მსურველთ უფასოთ ეგზავნებათ.

რუსეთ-იაპონიის ომი

დეპეშები

„რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან“

3 მარტი

პეტერბურგი. უმაღლესი ბრძანება სამხედრო უწყებისადმი 3 მარტის თარიღით: იმ ჯარების მთავარ სარდალი, რომელნიც იაპონიის წინააღმდეგ მოქმედებენ ხმელეთსა და ზღვაზე, საგენერალო შტაბში ჩარიცხული გენ.-ადიუტანტი, ინფანტერიის გენერალი კუროპატკინი, დათხოვნილია მთავარ-სარდლის თანამდებობიდან და დარჩება გენ.—ადიუტანტათ.

ქვეითა ჯარებში ჩარიცხული, მანჯურიის პირველ არმიის სარდალი, ინფანტერიის გენერალი ლინევიჩი ინიშნება ყველა იმ ჯარების მთავარ-სარდლათ, რომელნიც იაპონიის წინააღმდეგ მოქმედებენ ხმელეთსა და ზღვაზე.

კარიზი. გაიაშიმ განაცხადა, რომ იაპონია იქამდე განაგრძობს ომს, სანამ რუსეთი არ დაიწყებს ზავის ჩამოგდებაზე ლაპარაკს.

4 მარტი

ლონდონი. იაპონიის მისიამ გამოაქვეყნა ტოკიოდან მოსული ოფიციალური დეპეშა, რომელშიაც ნათქვამია, იაპონიის მოწინავე რაზმი უკან-უკან ახევინებდა რუსებს და დღეს 12 საათსა და 20 წ. დაიჭირა ტელინიო.

ტოკიო, (ბერლინის გზით). მზათ არიან გასამგზავრებლად კრეისერები „როსია“ და „გრომობოი“; ვლადივოსტოკში 20 ნაღმოსანი და რამდენიმე წყლის ქვეშ მცურავი ნავი მზათაა ზღვაში გასასვლელად.

ტოკიო. იაპონიის ჯარები, რომელნიც იმპანში იდგნენ, აღმოსავლეთით, ფუშუნიდან მისდევდნენ რუსებს გირინის გზით, ჰფიქრობენ, რუსები ხარბინისაკენ დაიხევენო. რუსის ერთი დივიზია, რომელიც ტელინში იდგა, ცოტა კი შეებრძოლა მტერს, მაგრამ ჩქარა მიატოვა ქალაქი.

ბერლინი. „ლოკალ ანცაიგერ“-ის კორესპონდენტი ბინდერი ტყვეთ წაიყვანეს იაპონელებმა მუკდენში.

პეტერბურგი. 3 მარტს პეტერბურგის სამხედრო-საოლქო სასამართლოში ბარონ ოსტენსაკენის თავმჯდომარეობით შეუდგნენ საქმის გარჩევას ექვს იანვარს მომხდარ უბედურობის შესახებ. სამართალში არიან მიცემული სამსახურზე უყურადღებობისა და დაუდევრობისათვის გვარდიის საცხენოსნო-საარტილერიო ბრიგადის კაპიტანი დავიდოვი, შტაბს-კაპიტანი კარცოვი, პოდპორუჩიკები როტი პირველი და როტი მეორე, საგენერალო შტაბის პოდპოლკოვნიკი პოლოვცევი და ბრიგადის სამი ჯარის კაცი აპოლკოვი, პატრიკეევი და გონდარევი. საბრალმდებლო ოქმიდან გამოირკვა, რომ, თანახმად საპოლიციო დეპარტამენტის დასკვნისა, არავითარი ბოროტ-განზრახვა არა ქონიათ სროლის დროს. აფიცრებმა და ჯარის კაცებმა აჩვენეს, რომ ძველ მოსამსახურეებთან ძალიან ცოტას მეცადინეობდნენ, ზოგმა ჯარის კაცმა არც კი იცოდა, როგორ მოქცეოდა სასუნთქიან ზარბაზანს; ზარბაზნები არც კი დაუთვალიერებიათ სროლის წინ, სასწავლო კარტეჩიან ყუმბარას გულაგდებულად ინახავდნენ, რითაც აიხსნება ის ამბავი, რომ შემთხვევით ჩარჩენოდათ კარტეჩი. რეზოლიუცია 4 მარტზე ადრე არ იქნება. ბრალდებულნი სიმპატიურ შთაბეჭდილებას ახდენდნენ. ოქმში შეიტანეს კაპიტან დავიდოვის განცხადება, რომ ყველანი ზრუნვენ მატერიალური დახმარება გაუწიონ დაშავებულ პოლიციელს რომანოვს.

ვარშავა, 3 მარტი. ვარშავის უნივერსიტეტის საბჭოს სხდომა გაიმართა და გადასწყვიტა შეწყვეტილ იქნას უნივერსიტეტში სწავლა, სანამ რუსეთის უმაღლეს სასწავლებლებში არ გამეფდება აკადემიური თავისუფლება და სრული ავტონომია.

„პეტერბურგის დეპეშათა სააგენტოსაგან“.

4 მარტი

ლონდონი, 3 მარტი. „მორნინგ-პოსტ“-ის აზრით, იაპონიის 22 სამხედრო გემის მოსვლა სინგაპურთან იმას ნიშნავს, რომ იაპონელებმა გადასწყვიტეს გაილაშქრონ ინდოეთის ოკეანესკენ და გზაში გადაეღობონ როჟესტვენსკის ესკადრას, რომელსაც სურს ვლადივოსტოკისაკენ გაიჭრას. როჟესტვენსკის სამის გზით შეუძლიან წავიდეს: მალაკის სრუტეთი, მაშინ ტოგოს ფლოტს უნდა შეხვდეს, შეუძლიან ზონდის სრუტეში გაიაროს ანა და იავას შემოუაროს სამხრეთით. იაპონელებს შეუძლიანთ გადასჭრან ინდოეთის ოკეანე, თუ საკმაოთ ექნებათ სანახშირე ტრანსპორტი.

ბაქო, 2 მარტი. 18 თებერვალს მომხდარ სხდომაზე სომხებმა დაარღვიეს ის ხმები, ვითომც ისინი ამართლებენ სიდუმლო კომიტეტების არსებობას და აგრეთვე იმას, რომ ვითომც სომხეთა და მაჰმადიანთა შორის მომხდარი შეტაკება სომხების რევოლიუციონერების ბრალი იყოს. იგინი უარყოფენ აგრეთვე იმ ხმებს, რომ ვითომც რუსების მუშათა გაქცევა ბაქოდან სომხეთა ტერორისტებს გამოეწვიოთ, ვითომც მათ სდომებოდეთ რუსების გარეკვა და იმათ ადგილზე ოსმალეთიდან გამოქცეულ სომხების ჩაყენება. სომხები სთხოვენ რუსეთის პრესას, უფრო სიფრთხილით მოეპყრას იგი ბაქოს უბედურების ამბების გამოქვეყნებას.

ჟურნალ-გაზეთებიდან

ტელინი. იაპონელებს 3 მარტს ტელინი აუღიათ. მუკდენის ბრძოლამ სამხრეთ მანჯურიის „თერმოპილი“-ს ტელინის ბედიც გადასწყვიტა და რუსის დაქანცულმა ჯარმა ტელინიც ვერ შეინარჩუნა. გენ. კუროპატკინის დეპეშიდან სჩანს, რომ ჯარი ტელინის გვერდზე მიდისო. ეტყობა, მდ. ფანხეზე რუსის რაზმი მხოლოდ იაპონელების გასაჩერებლად დამდგარა, უმთავრეს რუსის ჯარს-კი პირდაპირ ჩრდილოეთისაკენ დაუხევია. ვნახოთ სად შედგება რუსის ჯარი, მაგრამ სამხედრო მიმომხილველები ადრევე სწერდნენ, ტელინი რომ მიატოვოს, რუსი ჯარი პირდაპირ ხარბინისაკენ უნდა წავიდეს, რადგან ტელინსა და ხარბინს შუა არც მარჯვე პოზიციებია, ვერც ბინას იშოვის ჯარიო. თუ ეს მოსაზრება მართალია, მაშ რუსის ჯარმა ამ სიცივეში 420 ვერსტი უნდა გაიაროს ხარბინამდე. წინად ზოგიერთი რუსული გაზეთი ემუქრებოდა იაპონელებს, ისე გაგიხდით საქმეს, როგორც ნაპოლეონ I გავუხადეთ 1812 წელსაო. იაპონელები ამბობდნენ, ჩვენ-კი არა, და თქვენ-კი იქნება მოგიხდეთ ზამთარში უკან დახევაო. იაპონელების სიტყვა გამართლდა: რუსის ჯარს ყინვაში მოუხდა უკან დახევა. გენ. კუროპატკინის დეპეშიდან ისიცა სჩანს, თუ რა იოლ-იოლწიოდ დაუხევია რუსის ჯარსა. ზოგიერთი რაზმი და სალდათი ეხლა ბრუნდება თურმე ჯართან. ქარავნის ნაწილი, ეტყობა, ჯერ არ მოსულა. მთავარ-სარდალს ჯერ არ მიჰსვლია სრული მოხსენება ჯარისა და არტილერიის ზარალზე.

იაპონელები დღემდე თან მისდევენ რუსის ჯარს, ეგაა ჯერ ძნელი გამოსაცნობია საღამდე მიჰყვებიან. დეპეშებიდან სჩანს, რომ რუსის მარცხენა ფრთას გირინის გზით დაუხევია უკან და იაპონელები ამ გზაზეც დასდევნებიან. ერთის სიტყვით მუკდენის ბრძოლამ მთელი სამხრეთი მანჯურია მიატოვებინა რუსეთს. („ო. ნ.“).

გენ. კუროპატკინის გადაყენება. მუკდენის ბრძოლას, სხვათა შორის, რუსის ჯარის მთავარ-სარდლის გადაყენება მოჰყვა შედეგად. 3 მარტს უმაღლესის ბრძანებით გენ. კუროპატკინი გადაუყენებიათ მთავარსარდლობიდან და იმის მაგივრად შორეულ აღმოსავლეთში ხმელეთის ჯარისა და ფლოტის უფროსად მანჯურიის პირველ არმიის უფროსი გენ. ლინევიჩი დაუნიშნავთ.

გენ. კუროპატკინი ომამდე სამხედრო მინისტრად იყო და მთელ რუსეთში სამხედრო საქმის დიდ მცოდნედა და დიდ სტრატეგად ითვლებოდა. საზოგადოებას მით უფრო სწამდა სამხედრო მინისტრის სტრატეგიული ნიჭი, რომ გენ. კუროპატკინი ადრე გენ. სკობელევის შტაბის უფროსად იყო და ამიტომ განთქმულ „თეთრ გენერლის“ მოწაფედ ითვლებოდა. ომის გამოცხადების უმალ 9 თებერვალს გენ. კუროპატკინი უმაღლესად მანჯურიის არმიის სარდლად დაინიშნა. ყველას ეხსომება, რა იმედი ჰქონდა რუსის საზოგადოებას ახალის სარდლისა და რა საოცარის დიდებითა, პატივისცემითა და აღტაცებით გააცილა რუსის საზოგადოებამ, მეტადრე მოსკოვისამ, გენ. კუროპატკინი ომის ასპარეზზე; რუსის პატრიოტები მტკიცედ იყვნენ დარწმუნებულნი, რომ სკობელევის მოწაფე „თავხედ მტერს“ პორტ-არტურზე დაცემისა და რუსის ფლოტის დაზიანებისათვის სასტიკად დასჯიდა და იაპონიის არმიას მეტად გაანადგურებდა. ყველანი გამარჯვებას წინადვე დღესასწაულობდნენ. ყველგან, სადაც-კი გენ. კუროპატკინს გავლა მოუხდა, რუსის ხალხი, წოდების გაურჩევლად, გულწრფელის პატივისცემით ეგებებოდა, უთვალავს ხატს უძღვნიდა და გზას ულოცავდა. თუმცა გენ. კუროპატკინმა მოსკოვის საზოგადოებას გამოუცხადა, „მოთმინება იქონიეთო“, ივლისამდე გამარჯვების იმედი ნუ გექნებათო, მაგრამ ხალხის უმეტესობას უფრო ჰკუაში უჯდებოდა უცხოელ კორესპონდენტების ცნობა: გენ. კუროპატკინმა სთქვა, აგვისტომდე იაპონელებს მანჯურიიდანა და კორეიდან გავნდევნი, მაშინ ფლოტიც დამჭირდება, იაპონიაში გადავალ და შერიგების პირობას უსათუოდ ტოკიოში დავწერთო. რუსის პატრიოტებს გულწრფელად სჯეროდათ ეს ცნობა და ყველანი მოუთმენლად ელოდნენ გენ. კუროპატკინისაგან გასახარო დეპეშებს. დეპეშების ნაცვლად მანჯურიიდან იმ თავითვე სულ უკან დახევისა და დამარცხების ამბავი მოდიოდა. ჯერ უკან დახევას „პლანითო“ ჰხსნიდნენ: ჩვენი სარდალი განგებ იხევს, უნდა იაპონელები შორს გაიტყუოს, არც ჯარი ჰყავს საკმაო, [illegible] ყრის და მერე ერთბაშად ანდერძს აუგებს იაპონელებსაო. ამ „პლანის“ იმედით, რუსის პატრიოტებმა შედარებით ადვილად მოინელიეს ტიურენჩენი, ცინჩოუ და ვაფანგოუ, მოდულინი და მრავალ სხვა ადგილას დამარცხება; ეს უბრალო, წვრილმალ შეტაკებად მიაჩნდათ და იმედი ჰქონდათ, რომ დიდ გენერალურ ბრძოლაში რუსის არმია უსათუოდ შემუსრავდა იაპონიის ჯარს. დიდი გენერალური ბრძოლა აგვისტოში მოხდა ლიაოიანთან, სადაც რუსებმა დიდ-ძალი ჯარი შეჰკრიბეს და მიუვალი სიმაგრეები ააგეს. და ეს ბრძოლაც რუსის ჯარის უკან დახევით გათავდა, მაგრამ რუსის პატრიოტებმა მაშინ იმით ინუგეშეს თავი, რომ გენ. კუროპატკინმა შესანიშნავად დაიხია უკან, ეს „გენიალური უკან დახევა“ იყოო და იაპონელებს ჯარიც მეტი ჰყოლოდათო. ერთის თვის შემდეგ გენ. კუროპატკინმა თავისი განთქმული ბრძანება გამოსცა: ეხლა საკმაო ჯარი გვყავს, დროა იაპონელები ჩვენს ნებაზე ვატაროთ, წინ გავილაშქროთო. ამას იქით უკან დახევა არ იქნებაო. მართლაც 22 სექტემბერს გენ. კუროპატკინმა წინ გაილაშქრა. თუმცა დიდ ბრძოლაში იანტაისთან და მდ. შახეზე რუსის არმია ისევ დამარცხდა 46 ზარბაზანი დაჰკარგა და ისევ 20—25 ვერსტი უკან დაიხია, მაგრამ რუსებს ამ დამარცხების დარდიც „პუტილოვის გორის“ აღებამ და პირველმა სამხედრო დავლამ—14 ზარბაზანმა—გაუქარვათ. ამას გარდა რუსის საზოგადოების უმეტესობა გენ. კუროპატკინს ამართლებდა მუდამ და დამარცხების ბრალს სულ მუდამ ნამესტნიკს მთავარ-სარდალ ალექსეევსა და პეტერბურგის უმაღლეს სამხედრო წრეებსა სდებდა. ესენი ერევიან სარდლის საქმეში და ყველაფერში ხელს უშლიანო. ოქტომბერში ალექსეევი მთავარსარდლობიდან გადადგა და გენ. კუროპატკინი შორეულ-აღმოსავლეთში რუსეთის ჯარისა და ფლოტის მთავარ-სარდლად დაინიშნა. მთავარ-სარდალს დიდ-ძალი ახალი ჯარი და არტილერია ჩაუვიდა მანჯურიაში, რუსის ჯარი სამ არმიად გაიყო, რიგზე მოეწყო, მდ. შახეზე პოზიციები ძალზე გაამაგრა და მიუვალად გახადა. რუსის საზოგადოებას ახლა-კი ნამდვილად მტკიცე იმედი ჰქონდა გამარჯვებისა, გენ. კუროპატკინს ეხლა აღარა აკლიაო. 13 იანვარს გენ. გრიპენბერგმა გაილაშქრა სამხრეთისაკენ და ეს გალაშქრებაც, მოლოდინის წინააღმდეგ, ისევ დამარცხებითა და უკან დახევით დასრულდა. გენ. გრიპენბერგმა თავის თანამდებობას თავი მიანება, პეტერბურგში წამოვიდა და მოურიდებლად გამოაცხადა, მთავარ-სარდალს რომ დახმარება გაეწია ჩემთვის, ნამდვილად გავიმარჯვებდით; თუ წინად ჩუმ-ჩუმად უჩიოდნენ გენ. კუროპატკინს—ნამეტანი ფრთხილი, გაუბედავი სარდალიაო; ამ დროს-კი ბევრმა სხვამაც ამოიღო ხმა და, მაგალითად, გაზ. „სლოვო“-მ მოურიდებლად მოითხოვა გენ. კუროპატკინის გადაყენება. ბევრი წინანდელი მომხრეც გადუდგა ამ დროს რუსის მთავარ-სარდალს, მაგალითად, გერმანელი პოლკოვნიკი გედკე. მართალია პრესის უმეტესობამ მაინც გენ. კუროპატკინის მხარი დაიჭირა და გენ. გრიპენბერგი გაამტყუნა, მაგრამ სანდე[illegible]თან ბრძოლის შემდეგ მაინც ბევრი ლაპარაკობდნენ, იქნება მალე გენ. კუროპატკინი გამოცვალონო. მუკდენთან რომ რუსის ჯარს გაემარჯვა, რასაკვირველია გენ. კუროპატკინის მოწინააღდეგენი გაჩუმდებოდნენ, მაგრამ ეს ბრძოლაც საზარელის, უმაგალითო დამარცხებით გათავდა რუსის არმიისათვის და გენ. კუროპატკინი 3 მარტს მთავარ-სარდლობიდან გადააყენეს.

„კენიგსბერგ. ცაიტუნგ“-ს ატყობინებენ პეტერბურგიდან: გენ. კუროპატკინის მთავარ-შტაბის უფროსს გენ. სახაროვს გადააყენებენ და იმის ნაცვლად კიევის სამხედრო ოლქის უფროსს გენ. სუხომლინოვს დაჰნიშნავენო.

გერმანელ აფიცრის აზრი მარშალ ოიამას პლანზე. „ფრანკფურტერ ცაიტუნგ“-ის სამხედრო მიმომხილველი „ძველი პრუსიელი აფიცერი“ სწერს: მარშალმა ოიამამ დიდი სტრატეგიული ნიჭი გამოიჩინა და მუკდენთან მეტად დიდებული პლანი შეასრულა. მთელი თავისი არმია 130 ვერსტის სიგრძეზე გასჭიმა, რკალივით შემოარტყა რუსის არმიას, მერე ორივე ფრთა წინ წასწია და პირდაპირ ტელინისაკენ გააქანა. ეს პლანი მით უფრო დიდებულად უნდა ჩაითვალოს, რომ ამავე დროს მარშალმა ოიამამ, რუსის ცენტრის გასაჩერებლად საალყე ზარბაზნები დადგა. რუსის ცენტრს რომ იერიში მიეტანა იაპონიის არმიის ცენტრზე და გაემარჯვა, ეს ზარბაზნები უსათუოდ მტრის დავლა გახდებოდა. მაგრამ იაპონელებს ცენტრში ისეთივე მაგარი ძლიერი სიმაგრეები ჰქონდათ აგებული, როგორც რუსებს ლიაოიანთან და რუსის არმიას არ შეეძლო ამ სიმაგრეების ასაღებად დიდი მსხვერპლი შეეწირა, მით უმეტეს, რომ გამარჯვება მხოლოდ დროებითი იქნებოდა და თანაც რუსის არმიას უკანიდან ძლიერი მტერი ედგა. მაგრამ ყველაფრიდან სჩანს, მარშალმა ოიამამ წინადვე იცოდა, რომ რუსის არმია ვერ გაჰბედავდა იმის ცენტრზე იერიშის მიტანას. ასეა თუ ისე, მარშალი ოიამა დარწმუნებული იყო, რომ რუსის არმია თავის პოზიციებს (მდ. შახეზე) ვერ შეინარჩუნებდა, თავის დიდებულ, გაბედულ პლანის ასრულებას შეუდგა და სახელოვნადაც აასრულა“. („რ. ს.“).

ადმირალ როჟესტვენსკის ესკადრა. „ნოიე ვინერ ტაგებლატ“-ი იუწყება: ტყუილია ის ხმა, ვითომ ადმ. როჟესტვენსკის ესკადრა შინა ბრუნდებოდეს. ესკადრა ჯიბუტამდე მოვა, იქ კონტრ-ადმირალ ნებოგატოვის ესკადრას მოუცდის და მერე შორეულ-აღმოსავლეთს წავაო. („ო. ნ.“).

სკოლის გაკოტრება

II

მეტად სამწუხარო ამბები ხდება სკოლაში ამ ბოლოს დროს; მეტად შეწუხებულნი და თანაც შეშინებულნი არიან ამ ამბების გამო მშობლები და ყველა ისინი, რომელნიც შეჰხარიან ახალგაზდობას და მოელიან მისგან უფრო ნათელ მომავალს. რომ იტყვიან, აირია მონასტერიო, სწორედ ისე არის საქმე თითქმის ყველა სასწავლებელში. დიდხანს ელოდებოდნენ მოსწავლეები სკოლის უკეთეს ბედს, მაგრამ ამაოდ,—სკოლას ვერავინ რას შველოდა, საერო განათლების მინისტრები წამ-და-უწუმ იცვლებოდნენ. ბოლოს მოსწავლეებმა თვითონ მოინდომეს სკოლის საქმის გასწორება და დაიწყო მათში მოძრაობა. არ გადარჩა სასწავლებელი, რომელშიაც ახალგაზდობას თავისი უკმაყოფილება არ გამოეცხადებინა, არ წარედგინა უფროსებისთვის სხვა-და-სხვა მოთხოვნილებანი. ვაჟების ერთ სასწავლებელში მოსწავლეები კარგა ხანია მეტად შევიწროვებულად სთვლიდნენ თავიანთ თავს და არა ერთხელ აცხადებდნენ უკმაყოფილებას. 23 იანვარს, როდესაც ქუჩებში არეულობა მოხდა, მრავალი მოსწავლე შევარდა სასწავლებლის ეზოში, მოერიდა არეულობას, მაგრამ უფროსის განკარგულებით მოსწავლეები გამორეკეს

ეზოდან და ჰიშკარი დაჰკეტეს. ამ განკარგულებას ის მოჰყვა შედეგად, რომ რამდენიმე მოსწავლე დაშავდა ყაზახების მათრახებისაგან და მეეზოვეების კეტებისაგან. ამ გარემოებამ გამოიწვია საშინელი ღელვება. მეორე დღეს, როცა მოსწავლეები შეიკრიბნენ სასწავლებელში, ასტეხეს ერთი ალიაქოთი, გამოვიდნენ კლასებიდან, მილეწ-მოლეწეს, რაც-კი გასატეხი იყო; ფანჯრებში 60-მდე შუშა ჩაამტვრიეს, სწავლა შესწყდა იმ დღეს. მეორე დღეს განმეორდა შუშების ლეწვა, მოახდინეს სხვადასხვა ნივთიერების აფეთქება, ამას მოჰყვა სიტყვით და მოქმედებითაც-კი შეურაცხყოფა ზოგიერთ უფროსებისა.

ოლქის უფროსის თანაშემწემ, რომელიც თვითონ დაესწრო მეორე დღეს არეულობას, წინადადება მისცა უფროს კლასის მოსწავლეებს შეყრილიყვნენ ცალკე და წარედგინათ თავიანთი მოთხოვნილებანი. მოსწავლეებმა მიიღეს ეს წინადადება, შეიმუშავეს შესაფერისი წერილი და წაუკითხეს საპედაგოგიო საბჭოს, რომელიც მოხდა ოლქის უფროსის იმავე თანაშემწის თავმჯდომარეობით მოსწავლეები ამბობენ,— ჩვენ დიდად გახარებულნი ვართ, რომ ეხლა მაინც ჩაგვთვალეს ადამიანებად და ამოგვახსნეს ხმა.... ის, რაც ამ ორ დღეში მოხდა, ადრე თუ გვიან აუცილებლად უნდა მომხდარიყო, რადგან ჩვენი სულიერი მოთხოვნილებანი არ კმაყოფილდებიან სასწავლებელში, პირიქით, ზოგიერთ ჩვენის აღმზრდელის უზნეო ყოფა-ქცევამ საზოგადოდ და კერძოდ ჯაშუშობამ, აგრეთვე ათასნაირმა წვრილმანმა შევიწროვებამ მოთმინებიდან გამოგვიყვანა და ჩაიდინეთ ის, რის მოწმენიც თქვენცა ხართო. ბოლოს მოსწავლეები თხოულობენ რამდენიმე პირის გაძევებას სასწავლებლიდან და მეტ თავისუფლებას სკოლის გარეშე.

მეორე სასწავლებელში კლასის დაფაზედ დაუწერეს ერთ მასწავლებელს „პოლიცი“-ი და კიდევ არა საცენზურო სიტყვა. მასწავლებელმა ჰკითხა, ვის არქმევთ ამ სახელებსაო. თქვენაო, უპასუხეს მოსწავლეებმა. მასწავლებელმა მოინდომა თავის გამართლება, მაგრამ ვერას გახდა და გავიდა კლასიდან. მოსწავლეებმა მოითხოვეს სრულიად გაძევება სასწავლებლიდან ამ მასწავლებლისა, როგორც უზნეო ადამიანისა,—ყველას ატყუილებსო, პირში გვაქებს, გვიალერსებს, [illegible]გს უკან-კი გვლანძღავს და მიწასთან [illegible]წორებსო, ამასთანვე ჯაშუშობას აბრალებდნენ. მასწავლებელი იძულებული გახდა [illegible] [illegible]ავე გააძევეს მეორე პირი—მსახური, რომელსაც მცირე-ხარისხოვან ჯაშუშობას აბრალებდნენ. მესამესაც ეს დღე მოელოდა, მაგრამ მოსწავლეებმა შეიბრალეს.

მესამე სასწავლებელში ამ რამდენიმე ხნის წინად გაკვეთილის დროს მოჰკლეს ერთი მასწავლებელი, დანარჩენები ძლიან დააწიოკეს. მეოთხე სასწავლებელში მოსწავლეებმა სხვა-და-სხვა ავეჯეულობა მილეწ-მოლეწეს, ეკკლესიასაც-კი შეეხნენ. ზოგიერთ ქალების სასწავლებელშიაც დიდი არეულობა მოხდა. ერთის სიტყვით, თითქმის არ გადარჩენილა სასწავლებელი, რომელშიაც მოსწავლეებს არ გამოეცხადებინოთ პროტესტი და არ ეთხოვნოთ, მოგვეცით მეტი თავისუფლება, მოგვაშორეთ სასწავლებლიდან ჩვენი სულთა მხუთავებიო.

სამართლიანი არის მოსწავლეთა ჩივილი და მოთხოვნილებანი, თუ არა? უნდა გამოვტყდეთ—მათი ჩივილი და საყვედური, მათი მოთხოვნილებანი სრულიად სამართლიანია. რად ავიწროებს და სტანჯავს მოსწავლეს სასწავლებელი, საწვალებლად გადაქცეული? რა ნება აქვს, მაგალითად, კლასის დამრიგებელს შეეჭრეს მოსწავლეს სახლში და ერთგვარ მოხელეების მსგავსად სჩხრიკოს და ქექოს მოსწავლის ავეჯები? რა ნება აქვს სასწავლებელს, აუკრძალოს მოსწავლეს გარედ საღამოს 8 საათის შემდეგ ნუ გამოხვალთ, ან თეატრში ჩვენ მიერ ნება დაურთველად არ შეიძლოთ წასვლაო? რად აშორებს სასწავლებელი ბავშვს მშობლებს და ართმევს ამ უკანასკნელთ სრულიად კანონიერ უფლებას, თვითონ უგდონ ყური თავიანთ შვილებს სკოლის გარეშე? რად ეტოტინება ჩვენი სკოლა მოსწავლის აღზრდას სკოლის გარეშე, როდესაც უბრალო ანგარიშიც კი ვერ შეუსწავლებია მოსწავლისათვის, როდესაც სკოლას ყმაწვილისთვის იმის უნარიც კი ვერ მიუცია, ორი ფრაზა ერთი ერთმანეთზედ გადააბას, აზრის მარტივად გამოსათქმელად?

უნდა მოვიყვანო მაგალითი ჩემის წარსულიდან. ერთმა ბეჯითმა და ნიჭიერმა მოსწავლემ მომმართა მე, როგორც თავის კლასის დამრიგებელს, და მთხოვა, გამანთავისუფლეო სწავლის ფულისაგან, რადგან მამა ჩემი ამ ჟამად გაჭირვებულ მდგომარეობაშიაო. მე ვუპასუხე, ვეცდები მეთქი და დავიწყე კიდეც შუამდგომლობა. ორი თუ სამის დღის შემდეგ შევიარე ხსენებულ მოსწავლის ბინაზე, მინდოდა გამეგო მისი შინაური მდგომარეობა (მოსწავლეების ბინის დათვალიერება მიღებული იყო ამ სასწავლებელში). როცა შევედი ოთახში და გამოვეცნობე მოსწავლის მამას, ეს უკანასკნელი როგორღაც აღელდა, შეუდგა საზოგადოდ ჩორჩქოლი, შვილი ჩემთან დარჩა, მამა საჩქაროდ მეორე ოთახში გავიდა, რამდენიმე ხნის შემდეგ გამოვიდა ჩემთან, ხელში მოსწავლის აბგა ეჭირა, ამოიღო იქიდან წიგნები და საჩქაროდ მაჩვენა, აი ჩემი შვილის წიგნები, აგერ კიდევ ორი თუ სამი წიგნი დევს მაგიდაზედ, ყველა ნება დართული წიგნია, მე ნებას არ ვაძლევ ჩემ შვილს სხვა წიგნები იკითხოსო. მშობელს სახეზედ რაღაცა შიში ეტყობოდა. საშინლად შემაწუხა ამ შემთხვევამ, ჩავვარდი საძაგელ მდგომარეობაში. რა ნება მქონდა, ვფიქრობდი შემდეგ, შევსულიყავ მათ სახლში, როგორც მოხელეს. მე ხომ მათი კარგი ნაცნობი არ ვიყავი. მე ხომ მოსწავლის მამას დღემდის არც-კი ვიცნობდი. ამ შემთხვევის შემდეგ მუდამ ვცდილობდი დამემტკიცებინა მათთვის, რომ პოლიციურის განზრახვით არ დამითვალიერებია მე მათი ბინა, მაგრამ [illegible] თუ არა, ძალიან კი ვეჭვობ.

მომყავს ახლა მაგალითი ჯაშუშობისა და დასმენისა სასწავლებლებში. ყველა სასწავლებელში აუცილებლად მოიპოვება რამდენიმე პირი, რომელნიც შეადგენენ თვალსა და ყურს უფროსისას. დეე ამ ვაჟბატონებმა ატანტალონ ენა რამდენიც უნდათ, თავშიაც ქვა უხლიათ, მაგრამ უბედურება იმაშია, რომ ამ საზიზღარ საქციელს ჩაადენინებენ ხოლმე აგრეთვე მოსწავლეებს და ჰხრწნიან ახალგაზდობას. ერთმა პირმა, რომელიც არავითარ საშუალებას არ ერიდებოდა, ოღონდ გავლენა ჰქონოდა სასწავლებლის ბედ-იღბალზედ, მიიახლოვა მეორე კლასის მოსწავლე და დაიწყო მისი თავისებურად გაწვრთნა. საზოგადოდ ნიჭიერმა მოსწავლემ, იმ საქმეშიაც ნიჭი გამოიჩინა, რომლისთვისაც ხელმძღვანელი ამზადებდა; მაჰქონდა თავის აღმზრდელთან ამბავი როგორც თავის ამხანაგებისა, ისე მასწავლებლებისა; აღმზრდელი თავის მხრივ ატყობინებდა ამ ამბებს უფროსს. ბოლოს მოსწავლე იმდენად შეიტყუილა თავისმა როლმა, ისეთი უზნეო ადამიანის ფერი დაედო, რომ ერთმა მასწავლებელთაგანმა ველარ მოითმინა (დიდი გამბედაობა-კი გამოიჩინა), დაიბარა თავის სახლში, აუხსნა, რა საზიზღარ გზას დასდგომია მოსწავლე და ურჩია თავი დაენებებინა არა საქებურ ხელობისათვის. ამ გარემოებამ და უფრო იმან, რომ ამხანაგებიც ბოლოს დროს ძალიან ცუდად ეპყრობოდნენ თავიანთ დამსმენელს, გამოაფხიზლა და ღრმად ჩააფიქრა გრძნობიერი ახალგაზდა. შესულა ერთ საღამოს ეს უკვე უფროსს კლასის მოსწავლე თავის ამხანაგებთან და დაუწყია ვედრება, მომკალით, მე ჩემი თავი შემძულდაო. საბედნიეროდ, კეთილმა ამხანაგებმა ისევ მიიღეს მოსწავლე თავის წრეში და ეცადნენ მის გამობრუნებას.

დიახ, სამწუხარო მაგალითია მოსწავლეთა ძალად გახრწნისა, სამწუხარო მით უმეტესად, რომ ეს ამბავი გამოიწვია იმ პირის მოღვაწეობამ, რომელიც კანონით და თავის თანამდებობით ზნეობის დარაჯად ითვლებოდა სასწავლებელში და რომელსაც ულევიარებდა თავის საიდუმლოებას ყოველი მოსწავლე და თითქმის ყოველი მასწავლებელი. ამ გვარ მაგალითების რიცხვი მრავალია; მაგრამ ნუ თუ ორი მოყვანილი მაგალითიც საკმარისი არ არის, რომ სამართლიანად ჩავსთვალოთ მოსწავლეების ყვირილი:

„მოგვაშორეთ ჯაშუშები, მოგვასვენეთ სახლში, დეე, რაც მოუვა მოსწავლეს სკოლის გარეშე, ამის პასუხის მგებლები კანონის წინაშე იყვნენ თვით მშობლები! ეცით პატივი მოსწავლის პიროვნებას, სარწმუნოებას და ეროვნებას“.

რაც შეეხება იმ ფორმას, რომელშიაც გამოაცხადა ახალგაზდობამ თავისი პროტესტი, უნდა აღვნიშნოთ, რომ, თუ თითქოს ხმა არ ესმის, ვისაც ჯერ არს, მეტი ჯანი არ არის, ზარბაზანმა უნდა იჭექოს.

ასეა თუ ისე, მოსწავლეებმა დღეს დაგვანახვეს სურათი სკოლის სრულიად გაკოტრებისა. აღარ აინტერესებთ მათ სწავლა, აღარა სჯერათ-რა უფროსებისა, მასწავლებლებისა, აღარა სჯერათ-რა მშობლებისა, დაანებეს სიხარულით სასწავლებელს თავი და გამოვიდნენ ქუჩაში. რა გზას უნდა დაადგნენ მოსწავლენი შემდეგში, აი დღევანდელი საჭირბოროტო საკითხი. **მან-თანი**

გურიის ამბები

მთელი გურია დღეს ერთ-სულია და ერთ-სხეული, საერთო მისწრაფებითაა გატაცებული. სოფლიდან სოფლამდე დადის მთავრობის მიერ გამოგზავნილი კრომ-გირეი და ყველგან ერთნაირად ელაპარაკება ხალხი, ერთნაირ მოთხოვნილებას უცხადებს. მხოლოდ ვინც იფიქრებს, რომ ეს ერთნაირობა—გაუგებრობის შედეგია, რომ ხალხი თვით-აზროვნებას მოკლებულია და მეზობელ სოფლის ან ჩამგონებელის სიტყვებს იმეორებს, შემცდარი იქნება. გურული ხალხის აზროვნება, ცოცხალი ნიჭის მოქმედება იმაში გამოიხატება, რომ იგი საერთო მოთხოვნილებას ყველგან თავის ელფერს სდებს, თავისებურად მსჯელობს, კარედან არ ითვისებს აზრებს, ზეპირად არ ამბობს სხვის ნათქვამს, არამედ თავის საკუთარ სულსა და გულში გაატარებს, თავის პიროვნებას აღბეჭდავს ზედ. თქვენ გულს სიამეს ჰფენს ყველა ეს და თან მწვავე გრძნობა გეუფლებათ; ჰფიქრობთ იმაზე, თუ რა დაუსრულებელ ნიჭიერების წყაროა ხალხი, რა დიდებული განძი იმალება მის სულსა და გულში. და ამავე დროს როგორ უწყალოდ ჰხრავს ამ განძს შიმშილ-წყურვილი, სიღარიბე, განათლების უქონლობა, ათასნაირი სხვა გაჭირვება.

იმ ხალხს, რომლის ოფლით რჩება ყველა სასწავლებელი, რომელიც პურს აჭმევს ყველა სწავლულ-მეცნიერთ, რომელიც თავისი შრომით სხვებს ანათლებს და თვითონ განათლებას მოკლებულია, ამ ხალხს გროშ კაპეიკობით შეკრებილ ფულით შექნილი პატარა ღარიბი წიგნთ-საცავ-სამკითხველოები დაუხურეს, მოუსპეს განათლების წყარო, რომელიც მან თავის ოფლით შექმნა. მეტად სამწუხარო, გულის მომწყვლელ სურათს წარმოადგენს სოფლებში ეს დახურული წიგნთ-საცავ-სამკითხველოები. წარმოიდგინეთ პაწია სოფლები, ფარღალალა ქოხები, რომლებშიაც ძლივს დაეტევა ათი კაცი, დამსკდარ-დაბზარული კედლები, ღარიბული ავეჯი—ეს არის გურიის წიგნთ-საცავ-სამკითხველოები, ეს არის ის „საშიშარი ბუდე რევოლიუციისა“, რომელიც დახურა ადმინისტრაციამ, როგორც დიდის მოძრაობის ვეება შესაკრებელი. „მართალია, დიდ კრებას ვერ გამართავენ აქ რევოლიუციონერები, პაწია სარევოლუციო კომიტეტი კი აქ კარგად მოეწყობაო“, თხუნჯობით სთქვა კრომ-გირეიმ. როცა დაბა ჩოხატაურში ერთი ამ გვარი სამკითხველო ვნახეთ. კარები ჩაკეტილი ჰქონდა და ამ კარებზე დასმული იყო ვეება სახელმწიფო ბეჭედი. ყველას სიცილი წასკდა. კრომ-გირეიმ, არშინით გაზომა დახურულ წიგნ-საცავ-სამკითხველოების შენობები, რათა უფრო ნათლად დაემტკიცებინა. რამდენად შესაძლებელია ამ პაწია სახლებში დიდის კრებების გამართვა. დახურულ წიგნთ-საცავის ფანჯრებში შევიხედე, რადგან კარები მაგრად დახურულ-დაბეჭდილი იყო. პაწია ოთახში შუა გულ ალაგს იდგა სტოლი, ზედ თითის სისქე მტვერი ეფინა. აქა-იქ სტოლზე იდგა სამელნეები და ეყარა კალმები და ორიოდე გახსნილი გაზეთი. კუთხეში იდგა პაწია შუშებიანი შკაფი: ასიოდე წიგნით. ყველა ეს და კიდევ რამდენიმე ტაბურეტი შეადგენდა ამ მრისხანე სარევოლიუციო „ბუნაგის“ მთელ მოწყობილებას. დაბა ხიდისთავში წიგნ-საცავიდან გამოატანინა ადმინისტრაციამ წიგნები, შენობა დაალუქვინა. წიგნები ორ ყუთში ჩაალაგეს, ყუთებს ბეჭედი დაასვეს და იქვე ახლოს სამჭედლოს ბნელ ნესტიან კუნჭულში დადვეს სინესტისა და თაგვების სახრავად.

ყველა წიგნთ-საცავი გურიაში დაიხურა 1902 წელს, აგვისტოში, ერთი კვირის განმავლობაში. სულ 12 წიგნთ-საცავს ეწია ეს საერთო ბედი. კრომ-გირეი დარწმუნდა, რა გულის მომწყვეტელი უსამართლობა მოახდინა ადმინისტრაციამ და შუამდგომლობა გააგზავნა მთავარ-მართებელთან ამ წიგნთ-საცავების გახსნის შესახებ.

დ. ჩოხატაურში სასოფლო კრებამ, სხვათა შორის, რამდენიმე მოხუცი კაცი ამოარჩია კრომ-გირეისთან სალაპარაკოდ. საერთო ახალ მოძრაობას ახალი თაობა დაარქვეს გურულებმა, მაგრამ ეს სიტყვა ისე-კი არ უნდა ვიგულისხმოთ, თითქო მოძრაობის მომხრენი მხოლოდ ახალგაზდები იყვნენ. ახალი თაობა სულიერად უნდა გვესმოდეს, ესე იგი განახლებულ, ახალგაზდა მისწრაფებად და ამ საერთო მისწრაფებამ მოხუცებულებიც გააყმაწვილა გურიაში, ძმური ერთობის ფერხულში ჩააბა. გუშინ ერთ ღრმა მოხუცს, 85 წლის კაცს, ვესაუბრე, რომელსაც კარგად ახსოვს მეორმოცე წლებში გურიაში მომხდარი „ბუნტი“. ვკითხე ამ მოხუცს, როგორ მოგწონს ეხლანდელი გურული ახალ-თაობა-მეთქი. ჩემი კითხვა და მოხუცის გამოცოცხლება ერთი იყო, „ნამეტარი კაია, ბატონო, —მიპასუხა,—ერთობამ ის ქნა, რომ მებატონეც აღარ გვაწუხებს ახლა და ჩვენ გვიმზერს, რა პირობით გამოვართმევთ ადგილებს და ჩვენი გამდლეტი პოლიციაც მევიშორეთო. წინად რომ პოლიცია მათრახის ცემით გამოჰყრიდა ხალხს გზის საკეთებლად და მაინც არ აკეთებდნენ გზებს, ტალახში ვიხრჩობოდით, ახლა მთელი „ახალი თაობა“, ყმაწვილი და ბერი კაცი თავის ნებით გამოდის გზის საკეთებლად და ამავ დროს ერთად თავ მოყრილი თავის საერთო გაჭირვებაზე მსჯელობსო“. მართლაც ახალი თაობა მეტად სასიამოვნოდ [illegible] სოფელს. მე დავათვალიერე სოფლის გზები, ჩემი თვალით ვნახე მთის ფერდობებზე ვიწროდ შეჯგუფული სახლები, რომელთაც გვერდით წინა დროს პაწია ბილიკი ჩაუდიოდა. ხშირად მოხდებოდა ხოლმე, რომ ამ ვიწრო ბილიკზე ფეხი დაუცდებოდა საქონელს, ძროხას, ხარს ან ცხენს, და ხრამში ვარდებოდა, დღეს ეს ბილიკები გააფართოვა „ახალმა თაობამ“, გზა-გზა მოსახლე კაცებმა თავის ნებით დაუთმეს სოფელს ადგილი ამ ბილიკის გასაგანიერებლად. რაც წინა დროზე პოლიციის მათრახმა და სასამართლოებმა ვერ შესძლეს, ეხლა ერთობამ, ძმურმა გრძნობამ ადვილად გაასწორა.

ქურდობაც ძლიერ შემცირდა ამ ჟამად გურიაში. საერთო მისწრაფებამ გარყვნილ-დაცემულნიც გაასწორა, ძმურ ფერხულში ჩაითრია, გაკეთილშობილა, ზნეობით გაწმინდა ხალხი. ჩემ თვალწინ შესძახეს გურულებმა ორ „ყაზილარს“, (თავხედ ბიჭებს), რომელთაც ცხარე ლაპარაკი მოუვიდათ ერთმანეთში: „არ გრცხვენიათ, ერთობა უნდა წაბილწოთ და მუშტებს უღერებთ ერთმანეთსაო“. ამ სიტყვებმა ისე იმოქმედა მოჩხუბრებზე, როგორც აღელვებულ ტალღებზე გადასხმული ზეთი—შეარცხვინა და დააცხრო ისინი. **ი. ნაკაშიძე**

ახალი ამბავი

✦ ქუთაისის გუბერნიაში ბოლო დროს, როგორც „კავ.“-ს ატყობინებენ, **შემდეგი ამბები მოხდა:** 27 თებერვალს სენაკის მაზრის თეკლათის საზოგადოებაში ვიღაცეებმა ცეცხლი წაუკიდეს და დასწვეს აზნაურების ძიძიგურის და ბერაიას სახლები. 27 თებერვალს, ღამე, ამავე საზოგადოებაში თავს დაეცნენ კოჩებაიას სახლს. 28 თებერვალს, დღით თავს დაეცნენ საერიპო დარაჯებს; 28 თებერვალს, ღამე, სენაკის მაზრაში გადასწვეს ქალალდებიანა ეკასა, ზუგდიდისა და ხორგის სასოფლო გამგეობის შენობები. სწვავენ მემამულეთა სახლებს.

✦ კავკასიის სამოსწავლო ოლქის მზრუნველმა მოწერილობა მიიღო საერო განათლების სამინისტროსაგან. მოწერილობა შეეხება **მოსწავლეთა მიერ სწავლის ალკვეთას საშუალო სასწავლებლებში.** სამინისტროს საჭიროდ დაუნახავს ერთ დროს დაიწყოს ყველგან სწავლა და კავკასიის სამოსწავლო ოლქის მზრუნველს სწერს, პირველად შვიდ მარტამდე უსათუოდ განაახლეთ სწავლა სასწავლებელში, ამასთან ვინც არ გამოცხადდება, დათხოვნილად ჩასთვალეთო.

✦ თერგის ოლქში შეუპყრიათ ერთი კაცი, გვარად ხაჟიევი, რომელსაც ურემში დამალული აღმოაჩნდა **შვიდ ფუთ ნახევარი თოფის წამალი.**

✦ **გურიაში გაგზავნილი ჯარი,** როგორც ჩვენმა მკითხველებმა იციან, ჯერ ისევ ნატანებშია. გაზეთების სიტყვით, გენერალს ალიხანოვ-ავარსკის ნატანებში ჰყავს სულ ხუთი ათასი სალდათი ექვსის ზარბაზნით და ორას-სამასი ყაზახი. გენერალი ალიხანოვი ვაგონში ბინადრობს, ჯარი-კი კარვებშია მოთავსებული.

✦ ამიერ-კავკასიის რკინის გზის გამგეობას, როგორც გავიგეთ, ბაქოში გაუგზავნია თავისი კაცი, რომ **ბათუმისა და ფოთისთვის შეადგინოს** თათართაგან არტელი.

✦ უკვე ვსწერდით, რომ კავკავში სამართალში მისცეს 61 სალდათი ოსების ცხენოსან დივიზიონისა, რომელთაც **უარი განაცხადეს სამხედრო სამსახურზე.** ამათგან უმრავლესობას 1904 წლის ნოემბერში სამსახურის ვადა გაუთავდა, მაგრამ კიდევ დასტოვეს სამსახურში და ამის გამო მათ

ფელეტონი

საფრანგეთის ისტორიიდან

1789 წლის 4 აგვისტოს ღამეს, როგორც ზემოთ იყო ნათქვამი, საფრანგეთის ერის წარმომადგენლებმა ერთბაშად მოსპეს მთელი ნაშთი ძველ ფეოდალურ წესწყობილებისა: საფრანგეთის ნიადაგი გაიწმინდა მავნე ბალახებისაგან და მზად იყო ახალი თესლი მიეღო; ხალხს ვეღარ დაჩაგრავდა ვერც თავადი და ვერც აზნაური, სასულიერო წოდება წურბელასავით ვეღარ გამოსწოვდა მას სისხლს, წარჩინებულებას უპირატესობათ, რომელთა მიზეზით ხალხი შებორკილი და ხელშეხუთული იყო, საბოლოოდ მოეღო ბოლო. ძველი დაინგრა და ახალი უნდა აშენებულიყო. მაგრამ რა საფუძველზე?

საფრანგეთის რევოლიუციამდე ევროპაში უფლება მოსილი მარტო მეფე იყო; არსებობდა აგრეთვე სხვა-და-სხვა უპირატესობანი წოდებრივი, თუ ქალაქებისა და კორპორაციებისა; როგორც ხალხი, ისე პიროვნებაც, სხვა-და-სხვა მოვალეობით დატვირთული, მოკლებული იყო ყოველს უფლებას. ამიტომ ახალ სახელმწიფო წყობილების შედგენამდე უნდა გამორკვეულიყო პიროვნებისა და პიროვნებათა კრებულის—ერის—უფლებანი წინაშე მთავრობისა.

1789 წლის 26 აგვისტოს ეროვნულმა კრებამ შეიმუშავა და მიიღო ეგრედ წოდებული **დეკლარაცია** (გამოცხადება) **ადამიანის და მამულისშვილის** *) **უფლებათა.** მოგვყავს სრულად ეს დიდ-მნიშვნელოვანი და შესანიშნავი დოკუმენტი.

1. ადამიანები თავისუფალნი და სწორუფლებიანნი იბადებიან და რჩებიან; საზოგადოებრივი განსხვავებანი შეიძლება იყოს დამყარებული მხოლოდ საზოგადო სარგებლობაზე.

2. ყოველ პოლიტიკურ საზოგადოების საგანია ადამიანის ბუნებრივ და განუშორებელ უფლებათა დაცვა; ეს უფლებანია—თავისუფლება, საკუთრება, უშიშრად ყოფა და უფლება დაჩაგვრის წინააღმდეგ მოქმედებისა.

3. უზენაესს უფლობის და მმართველობის, სუვერენიტეტის წყარო არის ერი; ვერც ერთი დაწესებულება და ვერც ერთი კერძო პირი უფლება-მოსილად ვერ იმოქმედებს, თუ ეს უფლება-მოსილობა ერისაგან არ წარმოსდგება.

4. თავისუფლება ის არის, რომ ადამიანი ყველაფერს ჩაიდენს, რაც მეორე ადამიანს არ აგნებს; ამიტომ ადამიანის ბუნებრივ უფლებათა განხორციელებას საზღვარს უდებს საზოგადოების სხვა წევრების ამისთანავე უფლებათა მოხმარება; ამ საზღვრის დამდები მხოლოდ კანონია.

5. კანონს შეუძლია აკრძალოს მხოლოდ ისეთი მოქმედება, რომელიც მავნებელია საზოგადოებისათვის; რაც კანონით არ არის აკრძალული, დაშლა შეუძლებელია და ვერავის აიძულებენ ისეთი რამ ჩაიდინოს, რასაც კანონი არ თხოულობს.

6. კანონი საერთო ნების გამოხატულებაა; ყოველ მამულიშვილს უფლება აქვს მონაწილეობა მიიღოს, პირადათ თუ წარმომადგენელის საშუალებით, კანონების დადგინებაში. კანონი, დამცველი თუ დამსჯელი, ყველასათვის ერთნაირი უნდა იყოს. რადგან ყველა თანასწორია კანონის წინაშე, ამიტომ ყველას აქვს უფლება ყოველ თანამდებობაზე მხოლოდ ნიჭისა და სათნოების მიხედვით.

7. თუ კანონი არ ამბობს ან თუ ასრულებული არ არის ყოველი წესი, რომელსაც კი კანონი თხოულობს, ისე ვერავის მისცემენ პასუხის გებაში, ვერ დაატუსაღებენ და ციხეში ვერ ჩასმენ. ვინც თვითნებურ განკარგულებას გამოითხოვს, მოამზადებს, შეასრულებს ან სხვას შეასრულებინებს, უნდა დაისაჯოს; მაგრამ თუ ვინმე კანონისამებრ არის გამოწვეული ან დასატუსაღებელი, დაუყოვნებლივ უნდა დამორჩილდეს; წინააღმდეგობა ასეთ შემთხვევაში დაისჯება.

8. კანონი უნდა აწესებდეს მხოლოდ ისეთ სასჯელს, რომელიც თვალსაჩინოდ აუცილებელია. ვერავის დასჯიან, თუ არ იმ კანონის ძალით, რომელიც დანაშაულის ჩადენამდე იყო გამოცემული, და თუ ამ კანონის ყველა წესი შესრულებული არ არის.

9. სანამ სასამართლო არ დაამტკიცებს დანაშაულს, ყველა უდანაშაულოდ ითვლება; ამიტომ როცა აუცილებელია ვისიმე დატუსაღება, ყოველი სისასტიკე, რომელიც კი საჭირო არ არის ტუსაღის გაქცევის ხელის შესაშლელად, კანონით აკრძალული უნდა იქმნეს.

10. ვერავინ დაისჯება თავის რწმენისათვის, თუნდაც ეს რწმენა სარწმუნოებას ეხებოდეს, თუ იგი არ არღვევს კანონის მიერ დამყარებულ წეს-წყობილებას.

11. აზრისა და შეხედულების თავისუფლად გამოთქმა ადამიანის უძვირფასესი უფლებაა; ამიტომ ყოველ მამულისშვილს შეუძლიან თავისუფლად ილაპარაკოს, სწეროს და ბეჭდოს; პასუხს აგებს მხოლოდ ამ უფლების ბოროტად მოხმარებისათვის კანონის მიერ აღნიშნულ შემთხვევებში.

12. ადამიანის და მამულისშვილის უფლებათა უზრუნველ-საყოფად აუცილებელია საზოგადოებისაგან დადგენილი მთავრობა; მაშასადამე, მთავრობა დაწესებულია საერთო სარგებლობისათვის და არა იმათთვის, ვისაც მთავრობა ჩაბარებული აქვს.

13. მთავრობის შესანახად და მართვა-გამგეობის ხარჯებისათვის აუცილებელია საერთო გადასახადები; ეს გადასახადები უნდა გაიწეროს ყველა მამულისშვილებ შორის შეძლების-დაგვარად.

14. ყველა მამულისშვილს უფლება აქვს მონაწილეობა მიიღოს, პირადათ თუ წარმომადგენელის საშუალებით, გადასახადების გაწერის გადაწყვეტაში, დასთანხმდეს ან არ დასთანხმდეს გაწერას, თვალ-ყური უჭიროს შემოსულ გადასახადების დახარჯვას, უჩვენოს ამ გადასახადების ხასიათი, წყარო და მათის გადახდევინების წესი და ვადა.

15. საზოგადოებას უფლება აქვს ანგარიში მოსთხოვოს თანამდებობის პირს თანამდებობის ასრულებისა.

16. საზოგადოება, სადაც არ მოიპოვება საშუალება უფლებათა უზრუნველ-ყოფისა, სრულიად მოკლებულია ნამდვილ წეს-წყობილებას (კონსტიტუციას).

17. რადგან საკუთრების უფლება დაურღვეველი და წმინდაა, ამიტომ ეს უფლება ვერავის წაერთმევა, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა ამას თხოულობს საერთო სარგებლობა, კანონიერის წესით შემოწმებული; ამ შემთხვევებშიაც მესაკუთრეს უნდა მიეცეს სამართლიანი საზღაური.

აი ეს არის ადამიანის უფლებათა ის დეკლარაცია, რომელშიაც გამოიხატა საფრანგეთის ერის წარმომადგენელთა სულის კვეთება და რომელმაც ასე დიდი გავლენა იქონია როგორც საფრანგეთზე, ისე მთელ ევროპაზედაც.

ყველა წარმომადგენელი როდი იყო თანახმა ადამიანის უფლებათა გამოცხადებისა: ბურჟუაზიის ერთი ნაწილი, რომელიც პრინციპიალურ თანხმობას უცხადებდა დეკლარაციაში გატარებულ დედა-აზრს, ნაადრევად სთვლიდა ამ საქმეს —მუშა ხალხი მოუმზადებელია, ცუდათ მოიხმარს მინიჭებულ უფლებებს და სახელმწიფო საქმეები აირ-დაირევაო, ამტკიცებდნენ არისტოკრატიის მოადგილედ გახდომის მსურველნი. მაგრამ ვერ გასჭრა ბურჟუაზიის ამ წინდახედუ-

---

[1], ფრანგულ citoyen-ს ქართულად აქ მამულისშვილად ვთარგმნით; მოქალაქე ვერ ხატავს „სიტუაიენ“-ს; მართალია, სიტყვა „მამულისშვილი“ ხშირად პატრიოტსაც ნიშნავს, მაგრამ ამ მხრივაც უდგება იგი „სიტუაიენ“-ს: რევოლიუციის დროს სიტუაიენი და პატრიოტი სინონიმები იყო.

საჯაროდ განაცხადეს, აღარ შეგვიძლიან სამსახურიო. 8-დან 10 ნომბრამდე ეს სალდათები სავარჯიშოდ აღარ გასულან და აღარც ცხენებისთვის მოუვლიათ. ამას გარდა ზოგ ოსს სალდათს სხვა რამეც ჰბრალდება. ერთმა, მაგალითად, შტაბ-როტმისტრის მხარეს გადააფურთხა და სთქვა, სამსახურში მაინც აღარ დავრჩებითო, მეორემ აფიცერს მუშტი მოუღერა. ამათი საქმე უკვე განუხილავს სასამართლოს, მაგრამ გაზეთებში ჯერ-ჯერობით განაჩენი არ დაბეჭდილა. („ტ. ღ.“).

◆ 2 მარტს ამიერ-კავკასიის რკინის გზის მთავარ **სახელოსნოს მთ.მუშავეებმა** გაანებეს მუშაობას თავი. ხმა გავრცელდა, მუშები რკინის გზის სამმართველოში მიდიანო. პოლიციამ იფიქრა, რაღაცა ურეულობას აპირებენ მუშებიო, გამოიწვია ყაზახთა რაზმები და რკინის გზის სამმართველოს ირგვლივ აქა-იქ ეზოებში ჩაასაფრა. რკინის გზის მუშები, რიცხვით 3,000-დე კაცი, მართლაც მივიდნენ ამიერ-კავკასიის რკინის გზის სამმართველოში. უნდოდათ მოელაპარაკნათ პირდაპირ ინჟენერ ივანოვსკისთან. რკინის გზის გამგეობამ ამას წინად გადასწყვიტა, მუშებს იმ დროში, რაც ხანი გაფიცულნი იყვნენ, ჯამაგირის მესამედი მიეცეთ. აი ამის გამო შეიკრიბნენ მუშები სამმართველოსთან. იმათ უნდოდათ მოეთხოვათ, რომ სრულად მიეცეთ ფული. ივანოვსკიმ შეუთვალა შეკრებილთ, დეპუტატი გამომიგზავნეთო. მუშები ამის შემდეგ წყნარად დაიშალნენ.

◆ ტფილისის ქალაქის გამგეობას ლ. იაბლონკომ შემდეგი განცხადება წარუდგინა: 20 თებერვალს გოლოვინის პროსპექტზე **დემონსტრანთა გასაფანტავად** მივიდა ყაზახ-რუსთა ჯარი. შემთხვევით დემონსტრანტებში მოჰხვდნენ ისეთნიც, რომელნიც მონაწილეობას არ იღებდნენ. ასეთ კაცების ერთი ჯგუფი, რიცხვით 30, დაინახა რა გამოქანებული კაცები, თეატრის ქუჩის ჩასახვევში მცხოვრებთა ეზოებში შეიმალა. ყაზახებმა შეუბრალებლად დაუწყეს ცემა ყველას, ვისაც წამოეწივნენ. მალე მათ მეეზოვეთაც მხარი მისცეს. ყაზახებმა ამასთან ხმლებიც ამოიღეს და დასჭრეს რამდენიმე კაცი. საშინელმა სანახაობამ მეტად გაგვამწარა იქვე მდგომნი, მაგრამ რას გავხდებოდით. ბევრს იქვე მყოფ დედა კაცს ამ სანახაობით ისტერიკა დაემართა. ასეთ მხეცურად ადამიანის ცემა-ტყეპას არც ერთ განათლებულ სახელმწიფოში არა აქვს ადგილი და გთხოვთ,—ამბობს განცხადებაში იაბლონკო,—მფარველობა გაგვიწიოთ მცხოვრებთაო. ამ სცენის მოწმედ იაბლონკო ასახელებს შვიდს კაცს. გუშინ ქალაქის მოურავმა ეს განცხადება გუბერნატორს წარუდგინა და იშუამდგომლა საქმის გამოძიება და ყაზახთა დასჯა. გუშინვე ქალაქის მოურავმა გუბერნატორს წარუდგინა განცხადებანი სავიცკისა, ფარსეგოვისა და სხვათა, რომელთაც ითხოვეს, დაგვიფარეთ ყაზახ-რუსების თავ-დასხმისაგანაო.

◆ უკვე ვწერდით, რომ ტფილისის ქალაქის გამგეობას ქალაქის აფთიაქის ფარმაცევტებმა წარუდგინეს **საერთო მოთხოვნილებანი** თავიანთ მდგომარეობის გაუმჯობესების შესახებ. ქალაქის ფარმაცევტების მდგომარეობის შესწავლა გამგეობამ მიანდო სასანიტარო-სამკურნალო ინსპექტორს, რომელმაც გუშინ კერძო აფთიაქების პატრონთ სთხოვა მიაწოდონ ცნობები: რამდენს საათს მუშაობენ აფთიაქებში ფარმაცევტები, რამდენი დრო ეძლევათ მათ დასასვენებლად, თვეში რამდენჯერ ხვდებათ მორიგეობა და სხვა.

◆ ჩვენ გავიგეთ დამატებითი ცნობები კავთისხეველ (გორის მაზრა) **გლეხთა ყრილობის** განაჩენისა. როგორც ვწერდით, ყრილობას დაუდგენია, მღვდელს დრამის პური აღარ აძლიოს, მოსანათლში რასაც გლეხი შესძლებს, ის მისცეს, ხოლო მიცვალებულის გასვენებაში, დიდი იქნება თუ პატარა, სულ ერთია, 3 მანათი მიეცეს მღვდელს. ჯვარის წერაშიაც 3 მანათი. მამასახლისს, მწერალს და მასწავლებელს ჯამაგირად ათ თუმანზე მეტი თითოს არ მიეცეს. ვინც აქციზის მოხელეს ბინას მისცემს, იგი დასჯილ და დაჯარიმებულ იქმნება, რადგან დაადგინეს აქციზის მოსპობა. აგრეთვე დაუდგენიათ თავისუფლად სარგებლობა ტყისა, როგორც სახელმწიფოსი, ისე მემამულეთა. ამ განაჩენზე ხელი მოუწერიათ მღვდლებს, მამასახლისს, მწერალს, მასწავლებელს და მთელ კავთისხევის საზოგადოებას.

◆ ტფილისის ქალაქის მოურავის თავმჯდომარეობით, 3 თებერვალს ხმოსნებს **კერძო თათბირი** ჰქონდათ. კრებამ განიხილა საქმე იმ კომისიის არჩევის შესახებ, რომელმაც უნდა შეიმუშაოს მოხსენება უმაღლეს მთავრობასთან წარსადგენად. ზოგიერთ ხმოსნებმა სთქვეს, რადგან კავკასია ცალკე სანამესტნიკოდ იქმნა გამოცხადებული, და შესაძლებელია ჩვენის ქვეყნის წარმომადგენლებს ნება არ მიეცეთ შინაგან საქმეთა მინისტრის თავმჯდომარეობით შემდგარ ხალხის წარმომადგენელთა კრებაში მონაწილეობის მიღებისა, ამიტომ ეხლავე დეპუტაცია გავგზავნოთ პეტერბურგში და ვიშუამდგომლოთ, რომ კავკასიის ხალხთა წარმომადგენლებსაც ნება მიეცეთ მონაწილეობა მიიღონ რუსეთის წარმომადგენელთა საბჭოშიო. კრებამ მიიღო ეს წინადადება და სადეპუტაციო პირთა კანდიდატებად ხმის უმეტესობით დაასახელა ქალაქის მოურავი ქ. ა. ვერმიშევი და ხმოსნები თავ. გ. მ. თუმანოვი და თავ. ალ. მ. არგუთინსკი-დოლგორუკოვი. ორშაბათს, 7 მარტს, ამ საქმეს განიხილავს ქალაქის საბჭო.

◆ **დუშეთის მაზრის თავად-აზნაურთა წინამძღოლმა** ბ-ნმა ყაზბეგმა სამსახურს თავი დაანება. მის ადგილას ასახელებენ თავ. გ. ერისთავს (ახალგორის მემამულეს) და ნ. ხიმშიაშვილს (ბულაჩაურის მემამულეს).

◆ როგორც გავიგეთ, გზათა სამინისტროს დეპეშით უცნობებია ამიერ-კავკასიის რკინის გზის უფროსისთვის, თქვენთვის მომინდვია იმ საქმის გადაწყვეტა, რომელიც შეეხება მუშების დაკმაყოფილებას იმ ხნის განმავლობაში, რაც ხანი **გაფიცულები იყვნენო.**

◆ გუშინ, 4 მარტს, **ნაძალადევისა და ლოტკის გორის წარმომადგენელთ**, 7 კაცმა, სთხოვეს ქალაქის მოურავს შუამდგომლობა გაუწიოს, რომ ქალაქმა იჯარით აღებული მიწები დაუთმოს. წარმომადგენლებმა განაცხადეს: ქალაქისაგან იჯარით აღებული ადგილები გვაქვს ათასამდე მცხოვრებს; რადგან პირობის ძალით ვადის გასვლის შემდეგ იძულებულნი ვართ დავტოვოთ ადგილები, ამიტომ არავითარი სურვილი და ხალისი არა გვაქვს გულით მოვეკიდოთ სახლ-კარის და ეზო-მიდამოს მოწყობასაო. წარმომადგენლებმა ითხოვეს სრულ საკუთრებად მიეცეთ ადგილები, რისათვისაც ქალაქმა უნდა აარჩიოს კომისია ადგილების შესაფასებლად. მოურავმა აღუთქვა დახმარება.

◆ ტფილისის მაზრის სოფელ ახალსოფლიდან გვატყობინებენ: 2 მარტს მეფანდოს სოფლის თათარ მეცხვარეებს ცხვრის ფარა შეურეკიათ ახალსოფლის მცხოვრებთა ნათესობაში და გაუფუჭებიათ. ამის გამო ახალსოფლელთ და თათრებს შეტაკება მოსვლიათ. კეტებითა და მუშტით ჩარეული ჩხუბი იარაღზე გადასულა და ბევრი დაშავებულა. შეტაკების დროს თათრებს სასიკვდილოდ დაუჭრიათ ახალსოფლის ერთი მცხოვრები.

◆ გუშინ, 4 მარტს, დილით, ამიერ-კავკასიის რკინის გზის სახელოსნოებთან ვაგონების ოსტატს პავლოვს ვიღაც უცნობ პირმა რევოლვერი ესროლა, ტყვია მოხვდა ქუდში და თმები აუტრუსა. პავლოვმა თავის მხრივ უცნობს რევოლვერი დაახალა, მაგრამ უცნობა გაიქცა და თავს უშველა.

◆ სად. საბუნჩა. 3 მარტს, დილის 9 საათსა და 55 წუთზედ, საქონლის მატარებლის ქვეშ უცაბედად ჩავარდა ჰამედ-ალი-აბდული, რომელსაც მატარებლის თვლებმა ორივე ფეხი დაუჩეჩქვა.

◆ ქუთაისის სასოფლო-სამეურნეო სასწავლებლის შესანახად 1905 წელს ხაზინიდან გადაიდო 6000 მანეთი.

◆ რიყეზედ „შემახის“ ნომრებში ჩამომხტარ რასულოვს ვიღაცამ მოჰპარა 300 მანეთის ხალიჩები. ორი ხალიჩა აღმოაჩნდა მანთაშევის სახლში მოვაჭრეს სეროფ გიულბეკიანს, რომელმაც განაცხადა, ხალიჩები 30 მან. ვიყიდე მამედოვისაგანაო. ქურდი დააპატიმრეს.

◆ მალაკნის ქუჩაზე, ბამა-აივაზოვის დიდს სახლს გაუჩნდა ცეცხლი 3 მარტს დილით. ცეცხლის მქრობელმა რაზმა ცეცხლი მალე ჩაქრო. ზარალი 200 მანათს უდრის.

◆ ტფილისის მაზრის სოფელ არხოთის მახლობლად ტყეში ჩხუბი მოსვლიათ მანგლისის მცხოვრებ დიმიტრი ზიაბინს და ზირბათის მცხოვრებს ევთიმე აფთაურს. ჩხუბის დროს აფთაურს ზიაბინი მოუკლავს.

◆ სიღნაღის მაზრაში შემდეგი ამბები მოხდარა პირველ მარტამდის: 1. სოფ. ჩუმლაყში ვიღაც უცნობ პირებს არსენ შავოშვილის სახლისთვის თოფები უსროლიათ და გაქცეულან; 2. ქ. სიღნაღში მარიამ ჩალახაშვილის სახლში სანდრო პაპავას დაურტყამს ხანჯალი მუცელში და წელში კარდანახის მცხოვრებ ვასო ილაშვილისთვის, რის გამო უკანასკნელი მეორე დღეს გარდაცვლილა; 3. სიღნაღშივე კონსტანტინე ოთაროვი ორ სხვა ამხანაგთან ერთად შეცვივნულან გეურქ სარქისოვის სახლში, დაუწყიათ თოფების სროლა და სახლის ქონების გატაცება რომ მოუსურვებიათ, ამ დროს პოლიცია თავს დასცემია და ისინიც გაქცეულან; 4. სოფ. ტიბაანში ჩხუბის დროს შაქრო გურაშვილმა (10-11 წლისამ) დანით სასიკვდილოდ დასჭრა გიო გურაშვილი (15 წლისა). 5. სოფ. ლაკის წყალთან სოფ. ალვანის მცხოვრებს თაიარ რაინაულს მოუკლავს თუში ივანე თოთაძე, რომელიც ცხენის მოპარვას აპირებდა თურმე; 6. სოფელ ვაქირში ამ სოფლის მცხოვრებ იასე ბაბილაშვილს ჩხუბი მოსვლია თავის ქვისლ ნიკოლოზ ბუთლიაშვილთან და ანჯლით მოუკლავს იგი.

დეპეშა

(საკუთარის კორესპონდენტისაგან)

ფოთი, 4 მარტი. დღეს, 4 მარტს, გურია-სამეგრელოს ეპისკოპოსი დიმიტრი საბოლოოდ გამოეთხოვა ფოთს და წავიდა.

დღეს აკურთხეს ქალაქის საავადმყოფო.

რკინის გზის აქაურ მუშების არტელმა გამოუცხადა სადგურის უფროსს, თანახმანი ვართ თვეში 26 მანეთად (თითოს) ვიმუშაოთ, თუ იმ დროს ჩაგვითვლით და ჯამაგირს მოგვცემთ, რაც ხანი გაფიცულები ვიყავითო.

რომელი სახელმძღვანელოა

საუკეთესო ქართველ ბავშვთათვის რუსულის ენის შესაწავლად?

„ცნობის ფურცლის“ მე-2756 ნომერში მოთავსებულია შემდეგი ამბავი, ქუთაისიდან მოწერილი: „ცნობილ ლევიტსკის მუნჯურ მეთოდით გაბრაზებულნი ქალაქის პირველ დაწყებით სკოლების მასწავლებელნი ბოლოს გამოვიდნენ მოთმინებიდან და იერიში მიიტანეს ლევიტსკის სახელმძღვანელო „Курсъ“-ზე. მასწავლებელთ რამდენიმე კრება ჰქონდათ, რომელზედაც დაწვრილებით განიხილეს სახელმძღვანელო და ერთხმად აღიარეს მისი სრული უვარგისობა. ამიტომ დაადგინეს ჯერ-ჯერობით სთხოვონ სახალხო სკოლების დირექტორს, რომ ლევიტსკის „Курс“-ი განდევნილ იქმნას ქალაქის პირველ დაწყებით სასწავლებლიდან და მის ნაცვლად შემოღებულ იქმნას ამ ჟამად გრიგორიევის სახელმძღვანელო. თუ დირექტორთან თხოვნა არ გაუვიდათ, მაშინ სურთ სხვა ზომას მიმართონ. ძლიერ კარგი იქნება, რომ ქალაქის მასწავლებელთ სოფლის მასწავლებელნიც მიჰბაძავდნენ“.

მეტად სასიამოვნოთ მიგვაჩნია ის ამბავი, რომ პირველ დაწყებით სკოლების მასწავლებელთ ხმა ამოუღიათ და კრიტიკის თვალით შეუხედნიათ იმ ყოვლად-უმსგავს სახელმძღვანელოსთვის, რომელსაც ლევიტსკის „Курс“-ი ეწოდება... მით უმეტეს სასიამოვნოა ეს ამბავი, რომ აქამომდე ჩვენი მასწავლებლები შიშით ხმას ვერ იღებდნენ ამა თუ იმ სახელმძღვანელოს უვარგისობის გამო და იძულებულნი იყვნენ ესწავლებინათ რუსული ენა და ან სხვა საგნები ისეთ სახელმძღვანელოთა დახმარებით, რომელნიც ეწინააღმდეგებიან პედაგოგიკის სალს მოთხოვნილებებს. განსაკუთრებით ცუდს მდგომარეობაში რუსული ენის სწავლების საქმე იყო.

დღეს ყველასათვის ცხადზე უცხადესია, რომ უცხო ენის სწავლება მუნჯურის მეთოდის საშუალებით შეუძლებელია, მაგრამ ამისდა მიუხედავად პირველ დაწყებითს სკოლებში ეს ყოვლად-მახინჯი მეთოდი მაინც მეფობდა. სკოლის მასწავლებელი იძულებით ამ მეთოდის მომხრე უნდა ყოფილიყო. ჩვეულებრივად-კი რუსულს ენას **თვალ-საჩინოების და მშობლიურ** ენის დახმარებით ასწავლიდა შეგნებით, მაგრამ სკოლათა დირექტორს ან ინსპექტორს ამას არ აგებინებდა და რევიზიის დროს ერთსაც და მეორესაც არწმუნებდა, რომ რუსულს ენას მუნჯურის მეთოდის დახმარებით ვასწავლიო.. იშვიათად თუ ვინმე ხმას ამოიღებდა მუნჯურის მეთოდის უვარგისობის შესახებ უფროსის წინაშე. დღემდის ჩვენის სკოლის მასწავლებელს **ნება არა ჰქონდა** ხმა ამოეღო ამა თუ იმ მეთოდის ღირსებისა და ნაკლულევანების შესახებ... დღეს-კი სხვა სურათს ვხედავთ. ქუთაისში უკვე ხმა აიმაღლეს მასწავლებლებმა. ახალს სიოს პირველ დაწყებითი სკოლის მასწავლებელიც გამოუღვიძებია, ახალ ცხოვრების ტალღას მისი დღემდის დაჩაგრული „მეც“ აუმოძრავებია...

სამწუხაროდ, რამდენადაც სასიახარულოა ქუთათურ მასწავლებელთა შეგნება და ხმის ამოღება, იმდენად არა სასიხარულოა იმათი არჩევანი. ამ მასწავლებლებს ლევიცკის „Курс“-ი დაუწუნებიათ და დაუდგენიათ გრიგორიევის წიგნის შემოღება რუსულის ენის შესასწავლად. ამ ორს წიგნს შორის თითქმის არაფერი განსხვავება არ არის. როგორც ლევიცკის „Курс“-ი, ისე გრიგორიევის წიგნი მუნჯურს მეთოდზეა აშენებული და ამ მეთოდის სულითაა გაჟღენთილი. ლევიცკის წიგნი იქნება, თუ გრიგორიევისა, ორივე ერთია, რადგან ორივე მუნჯურის მეთოდის მოძღვრების განმახორციელებელია. საქმე **მეთოდია** და არა სახელმძღვანელო. ცუდის მეთოდის წინააღმდეგ ხმის ამოღებაა საჭირო. ცუდი მეთოდი ადუხჭირებს ქართველის ახალთაობის ბუნებას, ტვინს ულაყებს და უსპობს განათლების და თვით-განვითარების წყურვილს. ის უთხრის სამარეს ჩვენს ახალთაობას, ამ ჩვენის მომავლის იმედს ..

ქართველ ახალთაობისთვის შედგენილი რუსულის ენის შესასწავლი სახელმძღვანელო უნდა იყვეს დამყარებული **თვალ-საჩინოებასა და მშობლიურ** ენის **დახმარებაზე**. ამას გარდა ეს სახელმძღვანელო უნდა ასწავლიდეს ახალთაობას რუსულს ენას გარეშემორტყმულ მშობლიურ სინამდვილის დახმარებით. მას უნდა ჰქონდეს კავშირი ახალთაობის სამშობლოს სინამდვილესთან, მოძმე ერის ყოფა-ცხოვრებასა, ზნე-ხასიათსა და ჩვეულებასთან; ქართველი ბავშვი ადვილად ისწავლის რუსულს ენას მაშინ, როდესაც ცნობილს მშობლიურს სინამდვილეს ამ ენის ფორმებით გამოსთქვამს. ქართველ ბავშვისთვის ძნელია რუსულის ენის შესწავლა ისეთ პირველ-დაწყებით სახელმძღვანელოს საშუალებით, რომლის შინაარსი შეეხება უცხო მხარეს, უცხო ერს, უცხო ბუნებას, უცხო და უცნობს სინამდვილეს. ასეთია ლევიცკის და გრიგორიევის წიგნები. ამას გარდა დიდი მნიშვნელობა აქვს რუსულის ენის შეგნებულად შესწავლისთვის, უკეთუ ამ ენის სახელმძღვანელოს არსებითი კავშირი აქვს მშობლიურ ენის შესასწავლ სახელმძღვანელოსთან. თუ ამ ორს სახელმძღვანელოს შორის კავშირი არ არსებობს, რუსულის ენის შესწავლა სასურველად ვერ წავა. ლევიცკის და გრიგორიევის წიგნებს არავითარი კავშირი არა აქვს ქართულ ენის საუკეთესო სახელმძღვანელო „დედა-ენას“-თან. ჩვენ დღეს მოგვეპოვება საუკეთესო სახელმძღვანელო რუსულის ენის შესასწავლად. ეს სახელმძღვანელო გახლავთ ბ-ნ იაკობ გოგებაშვილის Русское Слово, მუნჯურ მეთოდის მიტრფიალეთა მიერ უსამართლოდ ათვალწუნებული და ბუჩად აგდებული. ჯერ ხანად ამ სახელმძღვანელოზე უფრო კარგი სახელმძღვანელო ქართველთათვის რუსულის ენის შესასწავლად ჩვენ არა გვაქვს. შინაარსის და მეთოდის მხრით ეს სახელმძღვანელო სწორედ ზედგამოჭრილია ქართველ ბავშვთათვის. ჩვენ დანამდვილებით ვიცით, რომ იმ სკოლაში, სადაც ბ-ნ იაკობ გოგებაშვილის მეთოდით ხელმძღვანელობს მასწავლებელი, რუსული ენა ქართველმა მოწაფეებმა სამაგალითოდ იციან (ბათუმი, კავკავი, წინამძღვრიანთკარი და სხვა.) სიმართლე და ჭეშმარიტება ბ-ნ გოგებაშვილის მეთოდისკენაა, და მომავალიც ამ მეთოდს ეკუთვნის. ამასთანავე Русское Слово-ს არსებითი კავშირი აქვს ამავე ავტორის ქართულის ენის სახელმძღვანელოს: „დედა-ენას“-თან, რაც მეტად აადვილებს ქართველი ბავშვის მიერ რუსულ ენის შესწავლის საქმეს.

ქართველი მასწავლებლები ზნეობრივად ვალდებულნი არიან მოიწონონ და მოითხოვონ ისეთი სახელმძღვანელო რუსულის ენის შესასწავლად, რომელიც ქართველ-ახალთაობის ჭკუა-გონების განვითარებას ხელს შეუწყობს. რუსთა და ქართველთა და სხვა ერთა საუკეთესო პედაგოგებს ასეთს სახელმძღვანელოდ მიაჩნიათ გოგებაშვილის Русское Слово. თუ აქამდის ყოველსავე შინაურს ვიწუნებდით,—და ვამბობდით: „**შინაური მრუდე არის, გარეული სწორია“-ო,** —ამას იქით მაინც აღვიმაღლოთ ჩვენი ხმა სიმართლის გამოსასარჩლებლად და ჭეშმარიტების აღსადგენად. განძრახ ნუ დავფარავთ სიმართლეს და სინამდვილეს,—დღეს თუ არა გაგვივა-რა,—ეს იმას არ ნიშნავს, რომ არც ხვალ გაგვივა. ნათქვამია: „დღე დღისაგან განსხვავდება“-ო და რაც დღეს არის, შეიძლება ის ხვალ აღარ იყოს.

ნ—ძირელი.

დედამამებს

რა არის სკოლა? სკოლა ის ტაძარია, სადაც ბავშვი უნდა შედიოდეს იმ გრძნობით, რა გრძნობითაც შედის ადამიანი ტაძარში დღესასწაულს. სკოლა მეცნიერის სამუშაო ოთახია, რომელშიაც ბავშვმა უნდა შესდგას ფეხი კრძალვით, გულის ცემით, ტკბილის თრთოლვით. სკოლა დედის საყვარელი გულია, რომელიც ზედ მიიკრავს, გაუხდება ამხანაგად ჭირშიც და ლხინშიც.

ეხლა დააკვირდით დღევანდელ საშუალო სკოლას. სად არის წმიდა ტაძარი სარწმუნოებისა? სად არის საღარო დიადის ბუნების ცოდნისა? სად არის სიყვარულით აღსავსე გული? ტყუილად დაიწყებთ მთელ რუსეთის სივრცეზედ ნამდვილ სკოლის ძებნას: ვერსად ნახავთ. სკოლების მაგივრად, როგორც ჭეშმარიტად სთქვა ერთმა მოწაფემ, ნახავთ ბიუროკრატიის ქარხნებს, სადაც ამზადებენ მოხელეებს. ნუ გიკვირთ ეს შედარება. განა სკოლაში ისეთივე ადმინისტრაცია არ არის, როგორიც ქარხანაში? განა სკოლაში იგივე წესი, რეჟიმი არა სუფევს? აი დირექტორი ქარხნისა. მასთვის მიუნდვიათ ქარხნის პატრონებს მანქანები და მუშები და პირობა შეუკრავთ: ყური უგდეთ მანქანებს, რომ კარგათ მუშაობდნენ, შეაკეთეთ, ან გამოსცვალოთ, თუ დაინახავთ, რომ სხვა მანქანა მეტს მასალას დაიმუშავებს, დიდ, ცოტა ძვირად დაჯდეს. უფრო მეტი ყურადღება მიაქციეთ მუშებს. ჩვენ ვიცით, რომ მუშას პიროვნება აქვს, ადამიანური სახე. ორივე ხელს უშლის ჩვენს მიზანს, უძლიერესად გამდიდრებას. ეცადეთ პირუტყვად გახადოთ, ძალით დაუხშოთ ყოველივე ადამიანური გრძნობა და სურვილი, და მაშინ სამაგალითო ჯილდოს მიიღებთ ჩვენგან სასარგებლო მოღვაწეობისათვის. უსულო მანქანები, ფულით შესყიდულნი, ტრიალებენ დღითი-დღე დანიშნულ ვადაზედ. მათ დარდი არ აწუხებს. რა დიდი საქმეა, რომ მასალა ცუდად დამუშავდება, მეტი ნაწილი ხომ ისეთი გამოვა, როგორიც სურს ბატონს მექარხნეს. არც იმაზე დარდობს, რომ მუშა დამავდება, დაუძლურდება. განა იმის მაგივრად არ შეიძლება სხვა დააყენონ: [illegible] თან ბევრი იცდის. ვაი შენი ბრალი, მუშავ, რაგვარ გწეწენ, გქსოვენ, გაფერადებენ? შენ ხომ არ გესმის, რას გიშვრებიან. კარგი

ეხლაც არა გჯერათ, რომ ჩვენი სკოლა ქარხანაა. ვერ მიხვდით? რა დაგემართათ? თვალები ახვეული გაქვთ, თუ გონება დახშული? იქნება ორივეც! განა არ გესმით თქვენი ღვიძლ-შვილის, საყვარელ და-ძმის კვნესა? განა მათ სახეზედ არ წაგიკითხავთ ტანჯვა და გულ-საკლავი სევდა? განა არ გაკვირვებულხართ მათის სიტყვა-პასუხით, რომელშიაც ერთი ნაპერწკალიც არ არის საღი გონებისა და გრძნობისა?—არა. მეც ვიცი, რომ ეგრე მიპასუხებთ. სხვა რა პასუხი გექნებათ, საწყლებო, ღარიბებო, მხდალნო, როცა თქვენც იმავე ბედში იწვით. თქვენც ისე გწეწავენ, გქსოვენ და გაფერადებენ, როგორც თქვენს შვილებს, დებსა და ძმებს. ქარხნების დირექტორებმა თქვენთვისაც მოიგონეს საუცხოვო მანქანები და პირუტყვი მუშები, რომელნიც ბეჯითად, მუყაითად, სიამოვნებით обработывали თქვენ. განა, საკვირველია, რომ გონს ვერ მოსულხართ და თვალთ ვერ ახელდით. მაგრამ გრცხვენოდეთ, პირუტყვმა მასა-

---

ღმა და ეგოისტურმა გონიერებამ: ეროვნული კრება გაიღვიძა ხალხის თავდადებამ თავისუფლებისათვის; გასჭრა ხალხის ინტერესების დამცველთა მხურვალე მჭერმეტყველებამ: მარტო ხალხს შეუძლიან აიძულოს ყველა პატივი სცენ მტარვალობის წინააღმდეგ მიმართულ კანონებს; ამიტომ პირველად ყოვლისა ხალხის უფლებანი უნდა გამოვაცხადოთ და აღვიაროთო, ამტკიცებდნენ ეს ორატორები.

რას წარმოადგენს შინაარსით „ადამიანისა და მამულისშვილის უფლებათა დეკლარაცია“?

ერთის მხრივ, იგი არის წარსულის უარყოფა, ძველ წეს-წყობილების მოსპობის აღნიშვნა და გარდუვალი ზღუდე ამ წეს-წყობილების დაბრუნებისათვის.

მეორე მხრივ, ეს დეკლარაცია პროგრამაა მომავალ მოქმედებისა, ახალ სახელმწიფო წესწყობილების დამყარებისა. და ეს პროგრამა ნამდვილ დემოკრატიულია, თუ მეათე მუხლს გამოვრიცხავთ: აქ რომ სარწმუნოების სრული თავისუფლება იყოს გამოცხადებული, მთელი დეკლარაცია ერთი მთლიანი გეგმა იქნებოდა მომავლისათვის. მართალია, დეკლარაციის გამოცემის შემდეგ, 1792 წლამდე, ბურჟუაზიამ ისე მოაწყო საქმე, რომ დეკლარაციის დემოკრატიული შინაარსი სრულიად მივიწყებული იყო, მაგრამ ამის მიზეზი დეკლარაცია კი არ იყო, არამედ ის გარემოება, რომ ბურჟუაზია შეგნებული კლასი იყო გაბატონებას მოწადინებული, და ხალხი-კი ჯერ ვერ იყო სავსებით მიმხვდარი თავის ნამდვილ ინტერესებს.

ყველას თანასწორი უფლება აქვსო, ამბობს დეკლარაცია, და რას ნიშნავს ეს, თუ არ ნამდვილ დემოკრატიას, ე. ი. საყოველთაო საარჩევნო უფლებას.

ყოველი უფლება ერისაგან გამოდის: ერი მეუფე, სუვერენია, გვეუბნება დეკლარაცია, და ეს ხომ რესპუბლიკაა, რადგან სადაც ხალხია მეუფე, იქ მეფეს ადგილი ვერ ექნება.

ეს პოლიტიკური მხარეა დეკლარაციისა და, თუ იგი მაშინვე არ განხორციელდა, დღეს ხომ იგი სინამდვილეა საფრანგეთისათვის: საყოველთაო საარჩევნო უფლებაც არის იქ და ამის შესაფერი ფორმა სახელმწიფო წესწყობილებისა—რესპუბლიკა.

სამაგიეროთ, ჯერ კიდევ დღესაც განუხორციელებელია სოციალ-ეკონომიური მხარე 1789 წლის დეკლარაციისა.

დეკლარაციის პირველი მუხლი ამბობს: ადამიანები იბადებიან და რჩებიან თავისუფალნი და თანასწორ-უფლებიანნიო. რისი თქმა უნდოდათ დეკლარაციის შემდგენელთ ამ მუხლით?

„ცხადი აზრი ამ მუხლისა ის არის, რომ უსამართლობაა ბუნებრივ უთანასწორობას წესწყობილებამ ზედ დაურთოს ხელოვნური უთანასწორობაც. ერთი ადამიანი მეორეზე ღონიერი და გონიერი გამოდის, და ნუ თუ სამართალია, რომ ამ ღონიერმა და გონიერმა კაცმა აკვანშივე ნახოს ფული ან ადგილმამული, რომელიც აორკეცებს და ასამკეცებს მას ძალ-ღონეს ცხოვრებისათვის ბრძოლაში? ნუ თუ სამართალია, რომ სულელმა ან ბოროტმა მიიღოს მემკვიდრეობა, რომელიც უფრო მავნებელად გახდის ამ სისულელესა და ბოროტებას? ნუ თუ სამართალია, რომ კანონის ძალით იყვნენ დაბადებით მდიდარნი და დაბადებით ღარიბნი“?..

რასაკვირველია, ეს ნამდვილი უსამართლობაა, მაგრამ ეს იმ დროს ძალიან ცოტას ესმოდა. თუ ბურჟუაზიამ ის მოახერხა, რომ პოლიტიკური უფლებანი მიითვისა და ხალხი მშრალზე დასტოვა საარჩევნო ცენზის დაწესებით, სოციალ-ეკონომიური თანასწორობა ხომ უფრო რთული და ძნელი შესათვისებელია და ხალხის მოტყუებაც ამ მხრივ უფრო ადვილი იყო.

თანასწორობის აზრი ერთობ მარტივია, მაგრამ მისი გათვალისწინება და შეთვისება მთელის სიგრძე-სიღრმე-სიგანით მოითხოვს ხანგრძლივ შრომასა და გამოცდილებას. დღესაც კი ბევრს არ ესმის, რომ როგორც პოლიტიკური უპირატესობაა (ქვეყნის მართვა-გამგეობაში მონაწილეობა) უსამართლობა, ისე სოციალ-ეკონომიურიც; თუკი ეს პოლიტიკური უპირატესობა წაერთვა მდიდარსა და წარჩინებულს, სოციალ-ეკონომიურიც (მემკვიდრეობის უფლება) უთუოდ უნდა წაერთვას. რომ მარტო მდიდრებსა და წარჩინებულებს არ ესმოდეთ ეს უსამართლობა, დიდი არაფერი იქნებოდა; მაგრამ არ ესმით იმათაც-კი (გარდა შედარებით მცირე ნაწილისა), ვინც დაინტერესებულია ამ უსამართლობის მოსპობაში. მაგრამ აქ მეტია ამაზედ ლაპარაკი. მხოლოდ ის დავიმახსოვროთ, რომ **„ადამიანის და მამულისშვილის უფლებათა დეკლარაცია შეიცავს დემოკრატიულსა და სოციალურ რესპუბლიკას.** ნამდვილად-კი რა მოჰყვა ასეთ დეკლარაციას, ეს შემდეგისათვის იყოს.

ლამ ენა ამოიდგა, ვეღარ გაუძლო უსულო მანქანების და გარყვნილ მუშების ძალადობას, თავისი პაწია მუშტებით დალეწა ზოგან მანქანები, შეეხო უსირცხვილო მუშებს, გამოვარდა გარედ და ხმა მაღლა უვირის: „დედავ, მამავ, მიშველეთ, ვიხრჩობი, ხელი მომეცი“ განა არ გესმით ეს გულის შემაძრწუნებელი ყვირილი? რას უცდით! ნუ თუ გგონიათ, რომ ბავშვის ყვირილი შეაშინებს ქარხნების პატრონს, გულს მოულბობს და თვითონ დააჩუმებს ბავშვს. არა და არა. ქარხნების პატრონი განა თავისი თავის მტერია, რომ თავის ჯიბეს თითონვე გაურღვიოს ძირი? არა, ის მაგას არას დროს არ იქმს. იმას სხვა საშუალება აქვს დააჩუმოს ბავშვი, ჩააკმენდინოს ხმა. ძველის-ძველი საშუალება კარგადა აქვს გამოცდილი: წკეპლა, ზოგს კარგად დაალურჯებს, ზოგიერთს ყურს სიკვდილამდე გაატყეპინებს, და ისევ გახსნის ქარხნებს. ისევ დაიწყებენ ტრიალს უსულო მანქანები და მათზედ მიკერებული მუშები! ნუ, ნუღარ შესცქერით ქარხნების პატრონს. ნუ გგონიათ, რომ გიწყალობოთ რამე თქვენის ბავშვებისთვის, რადგან მდიდარია. ხომ იცით: მდიდრის თვალი გაუმაძღარია. მაშ თქვენც დაიყვირეთ თქვენ ბავშვებიან ერთად: „ნუ გვიხჩობთ შვილებს, ნუ სწეწავთ, ნუ ქსოვთ და აფერადებთ, როგორც თქვენა გსურთ. ჩვენცა გვკითხეთ. განა ჩვენ უფრო გული არ შეგვტკივა ჩვენის შვილებისათვის? განა ჩვენ ისეთი გაუგებრები ვართ, რომ ვერ გავარჩევთ ავსა და კარგს? განა ჩვენ მეტი უფლება არ გვაქვს ჩვენი შვილების ბედის გადაწყვეტაში? რათ გვიშორებთ, რათ გვდევნით? მეტი აღარ შეგვიძლიან, აღარ გვინდა თქვენი დაწყევლილი ქარხანა. ჩვენა გვსურს ავაგოთ ტაძარი სარწმუნოებისა, ცოდნისა და სიყვარულისა“.

ვაჰმე! ვღადადებ უდაბნოსა შინა. **ყვავი**

რუსეთის ქრონიკა

გაფიცვა პეტერბურგში. „რუსკია ვედომოსტ“-ში ვკითხულობთ: გამოცხადებულია ახლი ბრძანება ბალტიის ქარხნის უფროსისა: „რადგან ჩემდამი რწმუნებულ ქარხნის მუშებმა თვითნებობა გამოიჩინეს, ე. ი. წარმოადგინეს სხვა-და-სხვა მოთხოვნანი და 21 თებერვლიდან მუშაობას თავი დაანებეს, ვაცხადებ, რომ მთავრობის ბრძანებით ქარხანა დაიხურება და ყველა მუშებს ანგარიშს გაუსწორებენო“.

ასეთივე განაცხდება გაუკრავს პეტერბუ[illegible]ლითონის ქარხნის უფროსს და 23 [illegible]ვალს 1300 მუშა დაითხოვეს. [illegible] მუშაობს ობუხოვის ქარხანაც და [illegible]ტორმა გამოაცხადა—ქარხანა დაიხუ[illegible]ლ განკარგულებამდეო. მეტი წილი [illegible]მეილიან მუშებისა სტოვებს ქალაქს [illegible]ვლებში მიდის.

[illegible]ქსანდრეს მექანიურ ქარხანაში 22 თებერვალს მუშებმა თავი დაანებეს მუშაობას და ქარხანა დაიხურა.

საზოგადოდ, ნევისა და ნარვის რაიონის ქარხნების უმეტესობა დახურულია. ვიბორგის მხრის უდიდეს ქარხნებშიაც გაფიცვაა. დაკეტილია კენიგის შაქრის ქარხანაც.

უმაღლესი მანიფესტი, 18 თებერვალს დილით რომ გამოვიდა, კ. პ. პობედონოსცევის ხელ-მოწერილი ყოფილა; იმავ დღეს საღამოს გამოცემული რესკრიპტი კი —ბულიგინისა და ერმოლოვისა.

კობეკოს კომისია. 22 თებერვალს კობეკოს წარუდგნენ ებრაულ გაზეთების რედაქტორები სოკოლოვი და გინცბურგი. კობეკომ უარ-ჰყო ის ხმა, ვითომც არა-რუსულ მწერლობისათვის ძალაში დარჩება წინასწარი ცენზურა; ჯერ-ჯერობით კომისია მუშაობს რუსულ მწერლობის შესახებ საკითხებზე. არა-რუსულ მწერლობის შესახებ კომისიას ცალკე ექნება მსჯელობა რამდენიმე ხნის შემდეგ და მაშინ გამოირკვევა, თუ რა პირობით შეიძლება არა-რუსულ მწერლობის განთავისუფლება წინასწარ ცენზურის შევიწროვებისაგან. როცა კომისია შეუდგება ამ საქმის განხილვას, მოწვეული იქნება ებრაულ მწერლობის წარმომადგენელიც.

საერო კრება. ფრანგულ გაზეთებს სწერენ პეტერბურგიდან, რომ ბულიგინის საგანგებო კომისია, რომელსაც მინდობილი აქვს საერო კრების დებულების შემუშავება, სულ მოკლე ხანში დაიწყებს მუშაობას. კომისიაში იქნებიან ერობის და საგუბერნიო მთავრობის წარმომადგენელნი, აგრეთვე სახელმწიფო საბჭოს ზოგი წევრი. ჰფიქრობენ, რომ ორ თვეზე შესაძლებელი იქნება არჩევნების დაწყება. კორესპონდენტი ირწმუნება, რომ კრების მოწვევისათანავე შემოღებული იქნება წარმომადგენლობითი წესი ორის პალატით: ერთი არჩეული იქნება, მეორეს წევრებს დანიშნავს თვითონ ხელმწიფე. ეს მეორე პალატა იქნება ეხლანდელ სახელმწიფო საბჭოს მზგავსი. მინისტრთა კომიტეტი გაუქმდება და მის მაგიერ იქნება მინისტრთა საბჭო გრაფ სოლსკის თავმჯდომარეობით. ეს მინისტრთა საბჭო მოწყობილი იქნება ისე, როგორც დასავლეთ ევროპაშია, მაგრამ იმ განსხვავებით, რომ პასუხის მგებელი არ იქნება პალატის წინაშე. („რ. ვ.“).

ახალი სესხი. რუსეთის მთავრობას განზრახვა აქვს ახალი სესხი აიღოს საფრანგეთის კაპიტალისტებისაგან. ჯერ უნდოდათ 1300 მილიონის სესხება, შემდეგ 800 მილიონზე ჩამოვიდნენ და ბოლოს 500 დასჯერდნენ. პარიზში თანახმა არიან მისცენ რუსეთის მთავრობას ეს სესხი, მით უფრო, რომ მეტი წილი ამ ნასესხებ ფულისა ისევ პარიზში დარჩება წინანდელ ვალის სარგებლის გასასტუმრებლად. მართალია, მანჯურიიდან ცუდი ამბები მოდის, მაგრამ [illegible], რუსეთის შინაგან ცხოვრების შეცვ[illegible]იმედია, კაპიტალისტები აღარ უფრთხიან ფულის გაცემას.

ასოთ-ამწყობების გაფიცვა. 27 თებერვალს პეტერბურგის გაზეთების რედაქციებში მივიდნენ ასოთ-ამწყობები და განაცხადეს, რომ აღარ ვიმუშავებთ, თუ მესტამბეებმა არ დააკმაყოფილეს წიგნების ამწყობებიცო. გაზეთის პატრონებმა დრო (ორი-სამი დღე) ითხოვეს მოსაფიქრებლად, მაგრამ ამწყობებმა გადაჭრილი უარი სთქვეს. ამიტომ მოსალოდნელია, რომ 28-დან გაზეთების ერთი წილი აღარ გამოვიდეს.

სტუდენტების და გიმნაზისტების დევნა. ხარკოვის მცხოვრებთა შორის ვიღაც საზიზღარი პირები ავრცელებენ თურმე პროკლამაციებს და იწვევენ „ნამდვილ რუსებს“, ვცემოთ სტუდენტებსა და მოსწავლე ბავშვებსო. ამგვარივე პროკლამაციები გაუვრცელებიათ სარატოვში, რის გამოც ადგილობრივ საზოგადოებას თხოვნით მიუმართავს გუბერნატორისათვის, დაიცვით ბავშვები ძალმომრეობისაგანაო. („ხარ. ლ.“).

ებრაელთა პეტიცია. ებრაელთა 32 საზოგადოების წარმომადგენელთ მიუმართავთ მინისტრთა კომიტეტის თავმჯდომარისათვის პეტიციით, რომელშიაც თხოულობენ ებრაელთა წინაამდეგ განსაკუთრებულის კანონმდებლობის მოსპობას. („ნოვ.“).

ინჟენერთა საზოგადოების განცხადება. პეტერბურგის ინჟენერთა საზოგადოებას შემდეგი განცხადება გაუგზავნია სენატორ შიდლოვსკისათვის: „მუშათა უმრავლესობა დიდის ნდობითა და თანაგრძნობით მიეგება ქვენს მოწოდებას და თვის შორის აირჩია საუკეთესო მუშები, რომელთაც შემდეგ უნდა აერჩიათ წარმომადგენლები თქვენს კომისიაში. მუშებს კარგად ჰქონდათ შეგნებული, რა მძიმე და რა საპასუხო საქმე იკისრეს და ამიტომ მოგმართესთ მოთხოვნით—აგესრულებინათ მუშათა კანონიერი მოთხოვნანი, ურომლებოდ შეუძლებელი იყო არჩევნების მოხდენა. თქვენ შეუძლებლად სცანით ამ ელემენტარულ მოთხოვნათა აღსრულება, რის გამოც მუშებმა უარი სთქვეს არჩევნების მოხდენაზე და თქვენი კომისიაც გაუქმდა. ჩვენ მოვალედ ვრაცხთ ჩვენს თავს გამოგიცხადოთ, რომ ადმინისტრატიული დასჯა მუშათა მიერ არჩეულ დეპუტატებისა ღრმა აღელვებისა და უკმაყოფილების გრძნობას იწვევს ჩვენში. რადგან ამის დანაშაული თქვენ, როგორც კომისიის თავმჯდომარეს, უფრო მიგიძღვისთ, ამიტომ ინჟენერთა საზოგადოება გიცხადებთ: ზნეობრივი მოვალეობა მოითხოვს თქვენგან დაუყოვნებლივ აღამაღლოთ ხმა იმ დასჯილ მუშათა გასანთავისუფლებლად, რომელნიც თქვენ მოგენდვნენ; მხოლოდ ამით შეგიძლიათ იმართლოთ თავი აღელვებულ საზოგადოებრივ აზრის წინაშე“. („რუს. ვედ.“).

პატარა ფელეტონი

ადვილი საშუალება მძიმე საქმის გადასაწყვეტად

კავკასიის სასოფლო-სამეურნეო საზოგადოებამ თავი ისახელა: გამოსძებნა ფრიად ადვილი საშუალება მძიმე ეკონომიურ საკითხების გადასაწყვეტად.

ყველამ იცის, რომ ჩვენი ქვეყანა სამეურნეო კულტურის მხრით ჩამორჩენილი კუთხეა. ბუნება მდიდარი გვაქვს, მაგრამ მოხმარება არ ვიცით. თანაც სოფლის მეურნე ყველგან შეწუხებულია მიწა-წყლის ნაკლებობით. ყველას გვაფიქრებს ასეთი უნუგეშო მდგომარეობა და დღემდის სხვა და სხვა ღონისძიების მიღებაზე ვმსჯელოდით...

მაგრამ თურმე საქმე ადვილი გადასაწყვეტი ყოფილა: ჩვენ არ ვიცით მიწა-წყლის მოხმარება, მოვიწვიოთ სხვები და იმათ გადავცეთ მამულები, რომელიც ჩვენ თვითონ არ გვეოფნის. თამბაქოს მოვლა-მოშენება არ ვიცით, ანატოლიელი სომხები და ტრაპეზუნდის ბერძნები მოვიწვიოთ; ჩაის მოშენება არ ვიცით, ჩინელები გადმოვასახლოთ; ძვირფას მცენარეულობის კულტურა არ [illegible], ფრანგი და იტალიელი გლეხები მოვიპატიჟოთ და სხვ. და სხვა.

ყოჩაღ, სამეურნეო საზოგადოებავ! ძველ რუსებსაც გადავაჭარბებთ. „ჩვენი ქვეყანა დიდი და მდიდარია, მაგრამ წეს-რიგი არ გვივარგა, მოდით და გვიპატრონეთ“-ო, სთქვეს იმათ; ჩვენმა სამეურნეო საზოგადოებამ უკეთესი ხერხი იღონა: „ჩვენი ქვეყანა თუმცა პატარაა და ჩვენც არ გვეოფნის, მაგრამ რა-კი მოხმარება არ ვიცით, მოდით, მთელის მსოფლიოს ვარიაგებო, და მიირთვით მთელი ჩვენი ქვეყანა“-ო.

მთელი დასავლეთი საქართველო იხრჩობა უმიწა-წყლოდ, როცა შავი ზღვის ნაპირა ადგილები თავისუფალია. მაგრამ დაიხრჩოს, რადგან მეთამბაქოებისათვის უფრო ხელსაყრელია უცხოელ პლანტატორების დასახლება. მთელის ჩვენის ქვეყნის მეურნეები მიწას თხოულობენ, თანაც დახმარებას საჭიროებენ კულტურის გასაუმჯობესებლად, მაგრამ ვის სცალია მათთვის?! უფრო ადვილი არ არის სხვების მოყვანა და დასახლება?!

ენფიანჯიანცს და თავ. შარვაშიძეს თავისი ინტერესი აქვთ: ფაბრიკანტს „სამპსონ“-ის თუთუნი უნდა იაფად, მემამულეს ადგილის რენტა ჰსურს გააძლიეროს. ენფიანჯიანცებსა და შარვაშიძეებს რა დარდი აქვთ მეგრელ-აფხაზებისა, ისინი რას ინაღვლებენ ჩვენს ჩამორჩენასა და გაკოტრებას?!

საკვირველია სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების ენერგია. როგორ უცბად აუტკივდა გული მეთამბაქოებისათვის, იფეთქა და ხელად საქმეც გაუკეთა! ჩვენის ქვეყნის მკვიდრნი მეურნენი-კი სწორედ დღეს არიან ჩაბმულნი დიდს გასაჭირში და სასოფლო-სამეურნეო საზოგადოება სდუმს, არა, კიდევ უარესი: ვარიაგებს იწვევს და იმათ უსაკუთრებს ჩვენს მიწა-წყალს. ბ-ნს ნატროშვილს უბრძანებია: შავიზღვის ნაპირა ადგილები უდაბნო იყო, ხოლო ანატოლიელ პლანტატორებმა გააცოცხლესო; მაშ ეს ადგილები მათი საკუთრება იყოსო. აი, უბრალო გადაწყვეტა მძიმე ეკონომიურ და პოლიტიკურ პრობლემებისა! ჩვენს სასოფლო-სამეურნეო საზოგადოებას, როგორც გავიგეთ, ძალიან გაუმარტივებია მომავალი თავისი მოღვაწეობა: დაუარსებია კომიტეტი, რომელმაც ჩვენის ქვეყნის სხვა-და-სხვა ადგილები უნდა დაურიგოს უცხო კულტურტრეგერებს, რადგან ჩვენი მეურნენი უნიჭონი ყოფილან და აღარ შეუძლიათ სამეურნეო კულტურის გაუმჯობესება-განვითარება!..

ვ.

ღამის დეპეშები

„რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან“
4 მარტი.

ვლადივოსტოკი, 3 მარტი. გენერალმა ყაზბეგმა თავის პირველ ბძანებაში მეციხოვნე ჯარს გამოუცხადა ის ყოვლად უმაღლესი სიტყვები, რომლებიც მისმა უდიდებულესობამ ცარსკოე სელოში უთხრა გენერალს შორეულ აღმოსავლეთში წამოსვლის წინა დღისით: **„გადაეცით ვლადივოსტოკის მთელს მეციხოვნე ჯარსა და მცხოვრებლებს, რომ მტკიცედა მწამს იმათი ერთგულება ჩემდამი და სამშობლოსადმი; დარწმუნებული ვარ, რომ ყველანი ბრწყინვალედ შეასრულებენ წილად ხდომილ დიდებულ მოვალეობას“.** ხელმწიფის სიტყვებს აღტაცებით მიეგება ჯარი. მეციხოვნე ჯარს მტკიცედა სწამს თავისი ძალა და მოთმინებით ელის იმ წამს, როდესაც თავის სიტყვას საქმით დაამტკიცებს.

ტოკიო, 3 მარტი. ზოგიერთ წრეებში ფიქრობენ, რომ კუროპატკინი დაჭრილებს ტელინში დასტოვებს და ეცდება ჩრდილოეთით გამაგრდეს.—კიდევ აღმოჩნდა ისეთი აფიცრები, რომელთაც იაპონელებისთვის მიცემული პატიოსანი სიტყვა დაურღვევიათ. ამისთანა აფიცრები უნდა სიკვდილით დაისაჯონ. პორტ-არტურის გაწმენდა ნაღმებიდან კარგათ მიდის. კანონერკები თავისუფლად შედიან პორტში.

ვლადივოსტოკი. ვლადივოსტოკისა და მთელი ჩვენის მხრის მცხოვრებლები ააშფოთა ხმებმა, ვითომც საჭიროა იაპონიასთან ზავის ჩამოგდებაო. ზავის ჩამოგდებას მხოლოთ ისინი ჩააცივდებიან, რომელთაც არ ესმით, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს ეხლანდელ ომს და რა შედეგი მოჰყვება ზავის ჩამოგდებას ეხლა, როცა რუსეთის საქმე ცუდათ მიდის ბრძოლის ველზე ახლანდელ გაჭირვებულ მდგომარეობის დროს ყველა ჭეშმარიტი რუსნი ერთი გრძნობით უნდა განიმსჭვალონ, მათ უნდა აერთებდეს სიყვარული სამშობლოსა და ტახტისადმი; არ უნდა დაიშურონ არც ძალა, არც შეძლება, თვით სიცოცხლეც კი უნდა შესწირონ ჩვენი ნაციონალური სახელის დასაცავად და ერთი მტკაველი მიწაც არ უნდა დავანებოთ მტერს.

ლონდონი. „დეილი ტელეგრაფ“-მა გამოაცხადა ტოკიოდან და სინმინტინიდან მიღებული დეპეშები, რომლებშიაც აწერილია მუკდენის ბრძოლა. კუროპატკინი ცხენით წავიდა ტელინს; მთავარი შტაბი მატარებლით წავიდა. 20 თებერვლიდან დაწყებული უკან დახევა მშვენივრად სრულდებოდა: 6 მატარებელი, თითოში 60 ვაგონი, ყოველ საათს გადიოდა მუკდენიდან და თან ზარბაზნები და სამხედრო სურსათი მიჰქონდა და დაჭრილები მიჰყავდა; მაგრამ მატარებელთა რიცხვი საკმაო არ იყო და საკვები სურსათის ნახევარიც ვერ გადაარჩინეს. ყაზახებმა ცეცხლი წაუკიდეს სურსათის საწყობებს, რკინის გზის საწყობებსა და სახლებს. იაპონელები სამხრეთ-კარებიდინ შევიდნენ მუკდენში და წესიერება აღადგინეს. მოხდა შეტაკება, რომლის დროს რამდენიმე ჩინელიც მოჰკლეს, და იაპონელებმა 4 ათასი რუსი დაატყვევეს. ეხლა სიწყნარე სუფევს ქალაქში. რუსის მარჯვენა არმიის გადარჩენილმა ნაწილმა დიდ-ძალ სამხედრო სურსათსა და სხვა საწყობებს ცეცხლი წაუკიდა და გაჩქარებით უკან დაიხია.

კიევი, 3 მარტი. სამხრეთ-რუსეთის მაშინების ამშენებელ ქარხნის გამგეობამ გამოაცხადა, მუშების ახალ მოთხოვნილების დაკმაყოფილება არ შემიძლიანო, ქარხანა დაიკეტა.

ბერლინი, 3 მარტი. რეიხსტაგში ბებელი ჰკიცხავდა გერმანიის მოქმედებასა და ურთიერთობას რუსეთთან, პოლიტიკურ დამნაშავეთა გაცემას და ეჭვის თვალით შეხედა გერმანიის ნეიტრალიტეტს გემების გაყიდვის საქმეში. ბებელის მკაცრმა სიტყვებმა დიდი ხმაურობა გამოიწვიეს, ბებელი რამდენჯერმე შეაჩერეს, რადგან იუსტიციის მინისტრს ავის სიტყვით შეურაცხჰყო და რუსეთ გერმანიის ხელ-შეკრულობას პოლიტიკურ დამნაშავეთა გაცემის შესახებ სამარცხვინო ხელშეკრულობის სახელი უწოდა. გრაფმა ბიულოვმა უპასუხა, გუშინაც გამოვაცხადე, რომ უკანასკნელ 20 წლის განმავლობაში არც ერთხელ არ გაგვიცია პოლიტიკური დამნაშავენიო. გემებზე კანცლერმა სთქვა, რომ გერმანიის ქვა-ნახშირის მზიდველი გემები რუსის სამხედრო გემებს არ მისდევდნენ, მხოლოდ უცხოეთის პორტებში ქვა-ნახშირს უზიდავდნენ რუსის ესკადრასაო.

ლონდონი, 3 მარტი. მეფე ედუარდმა მიიღო დილით ჩინეთის ელჩი ჩანგ-იაიენი, რომელმაც ჩააბარა მას საკუთრად მეფის სახელზე მიწერილი წერილი. აუდიენციაზე ლანსდოუნც დაესწრო.

„პეტერბურგის დეპეშათა სააგენტოსაგან“
4 მარტი.

ბერლინი, 3 მარტი. „ტეგლიხე-რუნდშაუ“-ს აუწყებენ, რომ ბერლინში მოლაპარაკებაა იაპონიის სესხის შესახებ. სწამთ, რომ საქმეს სასურველი შედეგი მოჰყვებაო.

პარიზი, 3 მარტი. გაზეთ „მატენ“-ის აგიტაცია ზავის ჩამოგდების სასარგებლოდ ბევრს მითქმა-მოთქმას იწვევს. გაზეთი დაბეჯითებით ამბობს, სარწმუნო წყაროებიდგან გავიგე, რომ ომი გათავდება, თუ იაპონია კონტრიბუციას არ ჩააცივდა და არ აუკრძალა რუსეთს წყნარ ოკეანეში ფლოტის ყოლა. ეხლა გაზეთი უქადაგებს იაპონიას, ზომიერებით მოიქეციო. მიუხედავად იმისა, რომ როგორც კერძო, აგრეთვე ოფიციალური ცნობებით, რუსეთს გადაწყვეტილი აქვს განაგრძოს ომი, აქ უსაფუძვლოდ სცდილობენ ოპოზიციონური სარჩული გამოუნახონ „მატენ“-ის სტატიებს. გაზეთმა საკუთარი ინიციატივით დაიწყო ეს აგიტაცია, რომელსაც მიზნათ აქვს გავლენა იქონიოს საზოგადოებაზე.

პეტერბურგი, 4 მარტი. „ნოვ. ვრემია“-ს სიტყვით, 9 მარტს ბეჭდვითი სიტყვის კანონპროექტის შემმუშავებელ კომისიის სხდომაზე განიხილეს საკითხი წიგნების ცენზურის შესახებ. განხილვა ჯერ არ დასრულებულა. გადასწყვიტეს შემდეგ სხდომაზე ათი გამომცემელი მოჰპატიჟონ.

ლონდონი, 3 მარტი. დეპუტატთა პალატაში მალკოლმა სთხოვა პერსის, გვიამბე რამე ბაქოში რუსებისაგან სომხების ცემა-ტყეპაზეო. პერსიმ უპასუხა, თქვენ ალბად სახეში ის არეულობა გაქვთ, რომელიც სომხეთა და მაჰმადიანთა შორის 7 თებერვლის შეტაკებამ გამოიწვია ბაქოშიო; მან წაიკითხა ბრიტანიის ბათუმელი კონსულის მოხსენება, სადაც ნათქვია, რომ წესიერება გუბერნატორისა და ორივე ერების სასულიერო წოდებათა ჩარევამ აღადგინაო.—როცა შეეკითხნენ ავღანის საქმეების შესახებ, ბროდრიკმა უპასუხა, რომ ბრიტანიის მისია ქაბულშია. სხვა ცნობების გამოქვეყნება ავღანის შესახებ ამ ჟამად არ შეიძლებაო.

რომი, 3 მარტი. დეპუტატთა პალატა 9 მარტისათვის არის მოწვეული, რათა მთავრობას მოუსმინოს მისი განცხადებანი.

რედაქტორ-გამომცემელი **ალ. გ. ჯაბადარი.**

გამოსადეგი ცნობანი

[illegible]ხალხო ბიბლიოთეკები

„[illegible]ა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებისა“

ტფილისში:

.. სასახლის ქუჩაზე, თავ.-აზნაურობის ქარვასლაში
ღია არის დილით 10—2 საათ
„ „ საღამ. 5—7 „
კვირა-უქმე—დილ. 11—1 „
2. ნაძალადევში, ვოდოპროვოდის ქუჩა, № 131.
ღია არის დილით 10—2 საათ.
„ „ საღამ. 5—9 „
3. ოლგას ქუჩაზე, სახლი № 19.
ღია არის დილით 10—2 საათ.
„ „ საღამ. 5—8 „

მიმოსვლა რკინის გზის მატარებლებისა

15 ოქტომბრიდან.

ცრჩხილებს გარედ ნაჩვენებია პეტერბურგის საათი, ფრჩხილებში—ტფილისისა.

ა) ტფილისიდან მიდის:

ბაქოს: 1) სწრაფი № 20 მარტო სამშაბათობით) საღამოს 5 ს. 21 წ. (6 ს. 19 წ.); 2) საფოსტო № 4 საღამოს 5 ს. 40 წ. (6 ს. 38 წ.;) 3) სამგზავრო № 6 დილის 7 ს. 44 წ. (8 ს. 42 წ.); 4) საქონლისა და სამგზ. № 18 ღამის 10 ს. 24 წ. (11 ს. 22 წ.).

ბათუმს: 1) საფოსტო № 3 ნაშუადღევს 4 ს. 20 წ., (5 ს. 18 წ.); 3) სამგზავრო № 5 დილის 6 ს. 29 წ. (7 ს. 27 წ.).

ერევანსა და ყარსს: 1) საფოსტო № 74/75 ღამის 11 ს. 55 წ. (12 ს. 53 წ.); 2) საქონლ. ამგზ. № 90/91 დილის 10 ს. (10 ს. 58 წ.).

ბორჯომს: სამგზავრო № 7/8 ნაშუადღევს 2 ს. 40 წ. (3 ს. 38 წ.).

ტფილისში მოდის:

ბაქოდან: 1) სწრაფი № 19 (მხოლოდ პარასკევს), ნაშუადღევის 2 ს. 26 წ. (3 ს. 24 წ.); 2) საფოსტო № 3 ნაშუადღევის 3 ს. 03 წ. (4ს., 01 წ.); 3) სამგზავრო № 5 დილის 5 ს. 56 წ. (6 ს. 54 წ.); 4 საქონ.-სამგზ. № 17 ღამის 11 ს. 38 წ. (12 ს. 36 წ.).

ბათუმიდან: 1) საფოსტო № 4 საღამოს 4 ს. 56 წ. (5 ს. 54 წ.); 2) სამგზავრო № 6 დილის 7 ს. 01 წ. (7 ს. 59 წ.).

ერევან-ყარსიდან: 1) საფოსტო № 76/77 დილის 5 ს. 35 წ. (6 ს. 33 წ.); 2) საქონ.-სამგზ. № 92/93 ნაშუადღევის 3 ს. 50 წ. (4 ს. 48 წ.).

ბორჯომიდან: სამგზავრო № 8|7 დილის 6 ს. (6 ს. 58 წ.).

ბ) ბაქოდან გამოდის:

ტფილის-ბათუმისაკენ: 1) სწრაფი № 19 (მხოლოდ ერთხელ კვირაში) ნაშუალამევის 1 ს. 15 წ. (2 ს. 13 წ.); 2) საფოსტო № 3 საღამოს 7 ს. 52 წ. (8 ს. 50 წ.); 3) სამგზ. № 5 შუადღის 12 ს. 40 წ. (1 ს. 38 წ.); 4) საქ.სამგზ. № 17 დღის 5 ს. 40 წ. (6 ს. 38 წ.).

გ) ბათუმიდან გამოდის:

6 **ბაქო-ტფილისისაკენ:** 1) საფოსტო № 4 დილის 4 ს. 36 წ. (5 ს. 34 წ.); 2) სამგზავრო № საღამოს 6 ს. 05 წ. (7 ს. 03 წ.).

დ) ქუთაისიდან გამოდის:

1) სამგზავრო № 51 ღამის 12 ს. 05 წ. (1 ს. 03 წ.); 2) სამგზავრო № 53 დილის 8 ს. 25 წ. (9 ს. 23 წ.); 3) სამგზავრო № 55 ნაშუადღევის 2 ს. 20 წ. (3 ს. 18 წ.); 4) სამგზავრო № 57 საღამოს 6 ს. 20 წ. (7 ს. 18 წ.).

პირველი საწყობი შეშისა
ი. კურცხალიასი
ცუდად დაწყობილი
კარგად დაწყობილი

ანდრეევის ქუჩა [illegible]ნის პირდაპირ. საკუთარის ტყიდან მიღებულია დიდ-ძალი შეშა ყოველგვარ ღირსებისა, რცხილისა, წიფლისა, მუხისა, რთხმელისა და სხვა. მუხის დიდი ბოძები. შეშის სახლში მიტანას ფირმა საკუთარ პავოზკებით კისრულობს. შეშა იყიდება საჟენობითაც და ფუთობითაც მყიდველს ნება აქვს შეში ქენი თავის თვალ წინ დაადგმევინოს, რადგანაც მსყიდველები ბევრჯელ სტყუვდებიან დადგმულ საჟენ[illegible]იდან. მეორე განყოფილება იმყოფება ვერის ხიდის ყურთან.
90—17)
გამგე ნიკოლოზ პავლეს ძე კიკნაძე.



СѢДЕЛЬН
СПЕЦІЯЛЬН.
Безъ конкуренціи
продаются всевозможн. сѣдла.
მიხაილოვის პრ., სახლი აკოფოვისა, № 92, საზაფხულო სობრანიეს ახლოს. (წ—176—203)

წერა-კითხვის საზოგადოებაში (სასახლის ქ., თავ.-აზნაურობის ქარვასლა) იყიდება სხვა და სხვა ავეჯეულობა. დივანი, სავარძლები, სკამები, კამოდი, შკაფები, ძვირფასი სარკეები, ტრიუმო, ხალიჩები, სტოლები და სხ.—ნახვა შეიძლება დილის 10 ს.—2 საათამდის და საღამოს 5—6 ს.

ყველა ეს ნივთები წინაც იყო რონინაშვილისეულს ფოტოგრაფიაში. (უ. 2—2)

ქუთაისში
სამ. ბ. თოფურიას სა-
სამკურნალო,
რომელიც იმყოფება **მათი უმაღლესობის პრინც ალექსანდრე ოლდენბურგელის მფარველობის ქვეშ.** სამკურნალოში 75 საწოლია შინაგან, ნერვებისა, სახირურგიო, დედათა და თვალით ავადმყოფთათვის, მშობიარეთა განყოფილებით და ქიმიურ-მიკროსკოპიულ გამოკვლევათა კაბინეტით. გადამდებ სენით და სულით ავადმყოფებს სამკურნალო არ ღებულობს.

დღიური ფასი საავადმყოფოში შენახვის, და წამლებით 1 მანათიდან 3-მდე.

კბილებს
ვიღებ, პლომბს ვუკეთებ, ვასუფთავებ, ვსვამ ახალ ხელოვნურ კბილებს და ვაშორებ ცუდ სუნს. გ. მ. იოხველი. მიხეილის ქ., № 108. გერმანელთა ტაძრის პირდაპირ. ხელ-მოკლეებს იაფად. (30—9).

ცინკოგრაფია
წიგნებ გამომც. ქართველთა ამხანაგობისა
ვანქის დიდი ქ., № 27, ტელეფ. 372.
კლიშეების გაკეთება შეიძლება ფოტოგრაფიულ სურათებიდან და ხელით ნახატებიდან.